საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 მარტი, 2015 წელი.

№55 (7700)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

უსაქმური პოლიტიკოსების ეიფორია აღმაშფოთებელია!

3

„სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობის მოქმედი დიაპაზონი არა თუ შეამციროს, არამედ კიდევ უფრო გააფართოოს. ასე რომ, სიტუაცია არაა დასამშვიდებელი. ეიფორიაში არიან ის ადამიანები, რომლებსაც არაფერი უკეთებიათ, არც საკუთარი პოლიტიკური წონა და არც გამოცდილება არა აქვთ.



ბაყაყის თვალის სინდრომი...

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს!..

გაკვირვებულია „ქრონიკა +“-ის რედაქტორის ჭორიკნულ ოპუსთან დაკავშირებით ლეგენდარული სატელევიზიო გადაცემის – „კაკაბეთის ზარების“ ავტორი...

იხ. 2 გვ.

„იმედის“ სპეციალური განცხადება

ტელეკომპანია – საკუთარი ჟურნალისტების წინააღმდეგ

ტელეკომპანია „იმედი“ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და ხელისუფლების მხრიდან არხის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის შესახებ არხზე მომუშავე ჟურნალისტების ინგა გრიგოლიას და ეკა ხოფერიას მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებს ემიჯნება, რომლებითაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ერევა არხის სარედაქციო პოლიტიკაში და ცდილობს ჟურნალისტებზე ზემოქმედებას.

ტელეკომპანია „იმედი“ – ნათქვამია განცხადებაში, – ერთმნიშვნელოვნად აცხადებს რომ ჟურნალისტების ეს გამონათქვამები უსაფუძვლოა. არც ხელისუფლებისგან, არც „ქართული ოცნებისგან“ და არც რაიმე სხვა პოლიტიკური ძალის მხრიდან არ ყოფილა „რეაქციის“ თემატიკაში ან ზოგადად არხის სარედაქციო პოლიტიკაში რაიმე ფორმით ჩარევის ფაქტი. ტელეკომპანია „იმედი“ იცავს და მომავალშიც დაიცავს საკუთარ სარედაქციო პოლიტიკასა და ჟურნალისტების საქმიანობას გარეშე ჩარევისგან.

რამაზ საყვარელიძე

ხელისუფლება იმიტომაა უნიათო, რომ ნაციონალებს ამდენი ლაპარაკის უფლება მისცა

2

ხათუნა ლაგაზიძე:

ამ ოპოზიციას შეკითხვების დასმის უფლებაც არა აქვს

3

ნოდარ სარჯველაძე:

შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირების როგორმე თავიდან აცილებაზე რიგითმა მოქალაქეებმაც უნდა ვიზრუნოთ

4

დღის ამოჩაზურიდან

– როგორც ქართული გაზეთები იუწყებიან, 21 მარტს გაბითურებული ნაციონალები ახლა, თურმე, აპრილში აპირებენ ახალი აქციის მოწყობას მთავრობის დაუყოვნებლივი გადადგომის მოთხოვნით და აქციის შემდეგ ხანგრძლივ შიმშილობას, როგორც ჩანს, სანამ მთავრობა არ გადადგება... თუ ეს მართალია და ნაციონალებმა ჩვეულებისამებრ კვლავ არ იაფერისტეს და ახლა უკვე ხანგრძლივი შიმშილი მართლაც გამოიყენეს პოლიტიკურ იარაღად, იქნებ მრავალკვირიანმა უსმელ-უჭმელობამ თავისი ქნას და, ბოლოს და ბოლოს, გვეშველოს ნაციონალთა უტიფრობისგან და თავხედობისგან გატანჯულ მოსახლეობას... და თვითონ იმათაც ერთხელ და სამუდამოდ დაისვენონ, ანუ განისვენონ პოლიტიკურად...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ გვეხმაურებიან ქუთაისიდან

ბაყაყის თვალის სინდრომი

ამბავი თავისივე მოძსოვილი შხამიანი ჭორების აბლაბუდაში გახვეული „ქრონიკა +“-ის რედაქტორისა...

ერთი უცნაური ჩვევა აქვს ბაყაყს: პეპელა ცხვირზე რომ დააჯდეს, მანამდე ვერ ამჩნევს, ვიდრე არ აფრინდება.

ბაყაყის თვალის სინდრომად მოხსენიებულმა ამ უცნაურმა მოვლენამ მოგვაგონა ჟურნალისტიკას მიტმასნილი ქალბატონი, რომელსაც არც ჟურნალისტის

განათლება აქვს და არც ჟურნალისტური ეთიკისა გაეგება რამე, მაგრამ მაინც მოახერხა გაზეთის დაფუძნება და თავისი უარყოფითი აურისა და საკუთარი უარყოფითი მუხტის გადასაფარად „ქრონიკა +“ შეარქვა.

დიახ, ზუსტად ასე, თუმცა, ამ გაზეთში, რომელიც სავსეა ათასგვარი საეჭვო წარმომავლობის ნაბოდვარითა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოდიოზური ჩანაწერებით, ვერც „ქრონიკას“ წააწყდები და ვერც რაიმე პლუსს, ანუ დადებითს.

ამ საავტორო ყოველკვირეულის ყველა გვერდი დამფუძნებლისთვის დამახასიათებელი ჭორიკნობით, ცილისწამებითა და ყიამყრალობის ისეთი „მინუსებით“ არის აღსავსე, როგორც ის წერილი, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ მამხილებელი პუბლიკაციის პასუხად გამოაქვეყნა თავის გაზეთში და ბაყაყის თვალის სინდრომი თუნდაც იმით გამოამჟღავნა, რომ თურმე არ იცოდა, „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოდიოდა თუ არა!

რას ვიზამთ? უნდა შევეგუოთ ბაყაყის თვალის მისეულ სინდრომს, რამეთუ ესეც ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც დალტონიზმი, უმეცრება, უზნეობა და უგემოვნობა!



მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა, რომ საგანგებოდ ვარიდებ თავს მისი სახელის ხსენებასას. ეს არა მარტო იმიტომ, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, შეურაცხყოფა არ მივაყენო მის სეხნიებს, მოგვარეებსა და ოჯახს, არამედ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ სწორედ ამგვარი დამოკიდებულებაა საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია: **ცოდვებში კისრამდე ჩაფლულს „უხსენებლად“ უხმობენ.**

ახლა ვნახოთ და განვსაჯოთ, გადაჭარბებული ხომ არ არის ეს ჩვენი შეფასება?

ამ კითხვაზე პასუხისთვის მრავალთაგან მხოლოდ ერთადერთ ძალზე ცნობილ ფაქტს მოვუხმობთ: მან იმერეთის ყოფილი გუბერნატორის, ბატონ თემურ შაშიაშვილის ყოველკვირეული საორშაბათო პრესკონფერენციისას, ღია ეთერის გამოყენებით, ცილი დასწამა უპატიოსნეს და უსათნოეს მეცნიერს, რომ ყმაწვილკაცობისას თითქოს საცოლე თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ამ დაუსაბუთებელი განცხადების სიღრმისეულმა გამოკვლევამ დაადასტურა მისი მავანისთვის მაამებლური წარმომავლობა და ცილისმწამებლური ხასიათი. **ეს თვალნათლივ, ამასთან ლოგიკურად დასტურდება ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც მას განადგურებული ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში სათანადოდ ინახება.**

ამ ფაქტს განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ მას შემდეგ, რაც მავანთა დახმარებითა და სხვადასხვა აკრძალული ილეთის გამოყენებით ამ ქალბატონმა ხელში ჩაიგდო ქუთაისის „პრესის სახლი“, საგანგებოდ გაანადგურა იქ დაცული უმდიდრესი ფოტო და დოკუმენტური არქივები. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსახვრალ ხელს ზოგიერთი რამ მაინც გადაურჩა.

სამწუხაროდ და სავალალოდ, „პრესის სახლს“ დღემდე კვლავ ატყვია მისი ბოროტი ნაკვალევი და ჯერჯერობით ვერავინ მოიცალა იმისთვის, რათა დაადგინოს, **ამ ნ-სართულიანი კორპუსის სათავსების გაქირავებით შემოსული ფული ვის და რა მიზნით ხმარდება და ვინ არის დამნაშავე, რომ ეს კაპიტალური შენობა დღეს დანგრევის პირასაა?**

ბევრი რამ არის საეჭვო და გასარკვევი იმაშიც, საიდან და ვისი დახმარებით ახერხებდა ეს ქალბატონი იმას, რომ ხან ზვიადისტად მოგვეჩვენებოდა, ხან იმ „მათე ბიჭად“, მხედრიონელებთან ერთად რომ დათარეშობდა სამეგრელოსა და იმერეთში, ხან „ვარდების რევოლუციის“ წინა გუბერნატორის ერთგულ მომხრედ, რისთვისაც „პრესის სახლი“, ფაქტობრივად, საჩუქრად გადაეცა, ხან თავის თანაპოლკელი გუბერნატორის ნაცებში გადაბარგებულ მაღალჩინოსნად, საიდანაც, მანამდე, ვიდრე ბადრი პატარკაციშვილის გუნდს შეუერთდებოდა, არცთუ მთლად სანაქებო საქმიანობისთვის — ჭიტლაყით გამოგდეს... მერე ბევრს ეცადა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის გუნდში ვეღარ მოახერხა შეძრომა, თუმცა საამისოდ ჩალიჩისთვის არც ენა დაუსვენებია, არც კალამი და არც მავანთა მოხიბვლის მცდელობა.

და მოდით, იმით დავამთავროთ, რითიც დავიწყეთ:

ვგონებ, მართლაც ბაყაყის სინდრომი სჭირს ზოგიერთ პოლიტიკოსსა და სამართალდამცველს.

ნუთუ მაშინაც ვერ უნდა იცნონ შხამიანი „ღამის პეპელა“, როცა მათ თვალწინ დახტის და უამრავ ხალხს წამლავს?!

ალექსანდრე შენგელია,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
ქ. ქუთაისი.

„ხელისუფლება იმიტომაა უნიათო, რომ ნაციონალებს ამდენი ლაპარაკის უფლება მისცა“

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ 21 მარტის აქციას კარდინალური მნიშვნელობა აქვს ნაციონალური მოძრაობისთვის და მათ ეს დასკვნა უნდა გააკეთონ. ექსპერტის თქმით, გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია, რომლის მიხედვით, პოლიტიკური პროცესების ქუჩიდან მართვა საერთოდ მიუღებელია.

რა იყო რეალურად ნაციონალების მოტივი და ვინ იყო 21 მარტის აქციის ადრესატი? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს, რომ 50 ათასი მხარდამჭერი გამოიყვანეს ქუჩაში, მმართველი კოალიციის გათვლებით დაახლოებით 12 თასი მხარდამჭერი იყო მობილიზებული. პარტიამ, რომელიც ამბობს, რომ მთავარი ოპოზიციური ძალაა, უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, რატომ ვერ შეძლო მინიმალური აქტივის შეკრება?

— რაოდენობას რაც შეეხება, მკაცრი მეთოდოლოგიით არც ერთ მხარეს არ დაუთვლია, მიუხედავად იმისა, რომ არის ამის მეთოდოლოგია. 12 მივუმატოთ 50 და გავყოთ 2-ზე, გამოგვივა 31. თუმცა, მე მგონია, რომ 31 ათასიც ნამდვილად არ იყო. ზოგიერთი ჩემი კოლეგა თვლის, რომ დაახლოებით 20 ათასი იყო. სივრცე დიდი ჰქონდათ აღებული, მაგრამ ეს რაოდენობას არ ნიშნავს. არა მგონია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას კარდინალური მნიშვნელობა აქვს და ეს დასკვნა უნდა გააკეთონ ნაციონალებმა, რადგან ეს „პარადი“ უცხოელებისთვის იყო მოწყობილი, რადგან ქართველების დამოკიდებულება კარგად იციან.

— აქციას წინ უსწრებდა რეგიონებში ერთთვიანი ინტენსიური მუშაობა...

— მით უმეტეს, ლაპარაკია მთელი საქართველოს მასშტაბით მობილიზაციაზე. ჩვენ გვინახია და გვახსოვს, რა ხდებოდა იპოდრომზე, როდესაც სალომე ზურაბიშვილის დაძახილზე გავიდა ხალხი, იგივე ძმები გია და ლევან გაჩეჩილაძეების აქცია და ბიძინა ივანიშვილის ბოლო მიტინგზე რა რაოდენობის ხალხი გამოვიდა. არც ერთ ამ შემთხვევაში არ იყო რაიონი, ამ დროს კი ხალხის რაოდენობა 150 ათასზე მეტს ითვლიდა. 21 მარტის აქციის რაოდენობას თბილისი არ ეტყობოდა, არც სახეებით და არც რაოდენობით.

როდესაც თბილისის აქტიური პოლიტიკური ფიგურები გამოდიან ქუჩაში 150—200 ათასს მარტო თბილისი იძლევა. ასე რომ, ფაქტობრივად, ეს რეგიონების ხარჯზე შექმნილი რაოდენობა იყო. მაგრამ ამ რაოდენობის გამოსვლაც გამიკვირდა, გული დამწყდა, რომ ამდენი ადამიანს, ან უმეცრობა უნდა დავწამოთ და სრული უცოდინრობა იმისა, სად ცხოვრობს, ან სინდისთან ცუდი ურთიერთობა. სამწუხაროა ეს რაოდენობაც. უფრო მეტი შეიძლება გამოიყვანონ ახალმა პარტიებმა.

— მაგალითად?

— იგივე „პატრიოტთა ალიანსი“, რომელსაც პოლიტიკური წარსული არ აქვს.

— ძალა, რომელიც პრორუსულ ძალასთან ასოცირდება, შეძლებს ამ რაოდენობის მხარდამჭერების მობილიზებას?

— თვითონ ამბობს, რომ პრორუსული ვარო? „პატრიოტთა ალიანსი“ შეიძლება განვიხილოთ პრორუსულ ძალად, ისევე, როგორც ბურჯანაძის პარტია, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც რუსეთს გადასცა სეპარატისტული რეგიონები, რომელმაც ბიზნესი გადასცა რუსეთს, რომელმაც რუსეთის გინებით და მასთან შეურიგებელი ომის ძახილით დააფრთხო ინვესტორები და ამით ადგილი გაუნთავისუფლა რუსულ ბიზნესს, აი, ამ პოლიტიკურ ძალაზე არ ვამბობთ, რომ პრორუსულია. პუტინიც რომ ყოფილიყო ქართული პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელი, ის ვერ მოახერხებდა რუსეთისთვის ამდენის გაკეთებას.

— უმცირესობის წევრებმა გაახმოვანეს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით პარლამენტში დაიწყება დეპუტატების საჭირო ხმების მოგროვება იმისათვის, რომ დადგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. შეძლებს ეს ძალა პარლამენტში საჭირო ხმების შეგროვებას?

— ნაციონალები ხშირად ლაპარაკობენ ისე, რომ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს დარწმუნებული არიან თავიანთ სიმართლეში. ამ დროს, თავიანთი ფორმულებით ავსებენ ამ გაუცნობიერებელთა გონებას და მეტი არაფერი. კარგად იციან, რომ მათი არითმეტიკის დონეზეც კი, შანსი იმისა, რომ რეალიზაცია გაუკეთონ მათ მიერ წამოყენებულ სამოქმედო გეგმას, ნულის ტოლია, მაგრამ მათთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ რეგიონებიდან ჩამოყვანილი ხალხის გასაგონად გააკეთეს ის ცნობილი განცხადება. ეს ადამიანები დიდად ვერ ადევნებენ თვალს პოლიტიკას და მათთვის ამ ფორმულის შეთავზება უფრო ადვილია.

— ძალიან საყურადღებო იყო რამდენიმე გამოსვლა და მით უფრო სააკაშილის მიმართვა, რომ თავი დავანებოთ ერთმანეთის დევნას და შურისძიებას. რეალურად რა მიზანი აქვს ნაციონალურ მოძრაობას?

— მეტიც, პარლამენტის ყოფილმა თავჯდომარემ თქვა, რომ ეკონომიკური ამნისტია უნდა გამოვაცხადოთო. ეს ნიშნავს, რომ უნდა შერჩეთ ყველაფრი, რაც დაუშავებიათ. დღეს ნაციონალების მთავარი საზრუნავი არის უსაფრთხოების შენარჩუნება, მაგრამ იმას ხომ ვერ იტყვიან, უსაფრთხოებაზე ვზრუნავთო. სააკაშვილს აწყობს, რომ ძიებამ უკან არ მოიხედოს, იმიტომ, რომ მათ უკან ჩადენილი დანაშაულებია. მათი მაქსიმალური მიზანიც ეს არის.

— მთავრობის მიმართ უკმაყოფილების მიუხედავად მოსახლეობა ქუჩაში არ გამოვიდა, მოსახლეობის ეს პროტესტი ხელისუფლებას თვითტკბობაში ხომ არ ჩააგდებს?

— რაც შეეხება უკმაყოფილებას, პირველივე თვეებში გაჩნდა უკმაყოფილება მთავრობის მიმართ. ამიტომაც გვიხმო ექსპერტები ივანიშვილმა და ყველას კრიტიკული შენიშვნები რომ გვქონდა, სწორედ მაგას გვსაყვედურობდა და მაგას „გვეჭიდავებოდა“ იმ შეხვედრაზე. **ამ ფონზე არის კიდევ ერთი ტენდენცია, პოლიტიკური პროცესების ქუჩიდან მართვა საერთოდ მიუღებელია, მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ ნაციონალები იძახიან უნიათო არის ეს ხელისუფლებაო. სწორედ იმიტომაა ეს ხელისუფლება უნიათო, რომ ნაციონალებს ამდენის ლაპარაკის უფლება აქვთ. ამიტომაა პარადოქსი, რომ ისევ ამათგან იღებენ ამ უსიამოვნო ეპითეტს.**

თამთა ძარჩავა

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ნაცებს რო ჭკუა ჰქონდეთ, იტყოდნენ: — ქამრები შემოვიჭირეთ და ასე ცოტა ხალხი იმიტომ მოვიყვანეთო!

● აქციაზე მოვიდა მაქსიმუმ 12000. ეს ამომრჩეველთა 1%-ია. კაი, დავუმატოთ კიდევ 2% (არჩევნებზე მხარდამჭერთა რაოდენობა იმატებს), რაც ნიშნავს 3%-ს, ანუ ნაცები პარლამენტში ვერ შევლენ.

ვაფრთხილებ „ქართულ ოცნებას“ და განსაკუთრებით რესპუბლიკელებს: არჩევნები მაგათ სასარგებლოდ არ გააყალბოთ!

● პეტრო პოროშენკომ, უკრაინაში მიიწვია ზაქარია ქუცნაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილის თანამდებობაზე..

● მოკლედ, 2 დღის წინათ მოგვივიდა წერილობითი პასუხი გენერალური ინსპექციიდან, პოლიციის მოქმედ თანამშრომელ, უბნის ინსპექტორ გიორგი ჩხეიძესთან დაკავშირებით (მოკლედ დავწერ, რომ ეს პიროვნება ნასვამ მდგომარეობაში ებლატავებოდა ჩემს ძმას და სრულიად უსაფუძვლოდ ემუქრებოდა დაკავებით). როგორც გენინსპექციის მიერ გამოგზავნილ წერილში წავიკითხეთ, გიორგი ჩხეიძეს დისციპლინარული სასჯელი — სასტიკი საყვედური გამოუცხადეს.

სულ არაფერს ეს ნამდვილად ჯობია. ზოგადად, პირადად ჩემი სურვილი სულაც არ არის ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ ამ შემთხვევაში ვფიქრობ, ამ პიროვნების სამსახურიდან გათავისუფლება უფრო სწორი იქნებოდა, იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, რას იზამს ეს ჩხეიძე მომავალში. კი, ბატონო, სასტიკი საყვედური ძალიან მკაცრი ნორმაა (ზომაა) და ამიტომ, მადლობა გენერალურ ინსპექციას, რომ მომხდარ ფაქტს შესაბამისი რეაგირება მოაყოლა და იმ მობლატავე უბნის ინსპექტორს თავისი უგვანო საქციელი არ შერჩა.

იმედია, აწი მაინც ისწავლიან ჭკუას ჩხეიძე და მისნაირები!!!

(კომენტარი: — მე რომ მებლატავა პოლიციელ გიორგი ჩხეიძესთან ჩემს კომპიუტერულ ფირმაში, სასტიკ საყვედურს გამოიცხადებდნენ, თუ პოლიციაში ძვალსა და რბილს გამიერთიანებდნენ?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ვინ როგორ ხედავს

უსაქმური პოლიტიკოსების ეიფორია აღმაშფოთებელია!

ნაციონალურმა **მოძრაობამ მთავრობას წითელი ბარათი აჩვენა და ახლა ხელმოწერების შეგროვებას იწყებს, რომ მთავრობის უნდობლობის საკითხი უკვე პარლამენტში დადგეს.**

იმისათვის, რომ მთავრობის უნდობლობის პროცედურა დაიწყონ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ამისთვის ნაციონალებს 60 დეპუტატის ხმა სჭირდებათ. თუმცა, პროცედურის სამი კვირის ვადაში დაწყებას უკვე 75 დეპუტატის მხარდაჭრა სჭირდება. პროცედურა ამით არ სრულდება, 75 ხმით პარლამენტი უკვე ახალი პრემიერის კანდიდატურაზე უნდა შეთანხმდეს და ამის შემდეგ წარედგინება პრეზიდენტს. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი დათანხმდა წარდგენილ კანდიდატურას, ისევ 75 ხმაა საჭიროა იმისათვის, რომ უკვე ახალი მთავრობა შეუდგეს უფლებამოსილების შესრულებას.

აჭარა იყო მოკლე მოდელი იმისა, რა შეიძლება მოხდეს

შეძლებს თუ არა ამ გზის გავლას უმცირესობაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა, ამას საზოგადოება უახლოეს დღეებში ნახავს. ნაციონალური მოძრაობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ ამ საკითხში მას „თავისუფალი დემოკრატების“ იმედი აქვს.

„ჩვენ ჯერ საპარლამენტო დებატები მოვითხოვეთ, მთავრობა არ მოვიდა, შემდეგ პრეზიდენტმა დანიშნა რიგგარეშე სხდომა, მთავრობა არც იქ მოვიდა. ახლა აქციიდან ხალხმა მთავრობას გაუგზავნა გზავნილი, რომ მთავრობა უნიათოა და უნდა გადადგეს. ამის შემდეგ დავიწყებთ პარლამენტში პროცედურებს მთავრობის გადასაყენებლად. ჩვენ გვჭირდება 60 დეპუტატი და ვნახოთ, ვინ შემოგვიერთდება. სახელისუფლებო გუნდის იმედი არ გვაქვს. რაც შეეხება „თავისუფალ დემოკრატებს“, აქ უფრო იმედიანად ვართ“, – აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი.

უკვე ცნობილია, რომ ამ ბრძოლაში მათ მხარს არ დაუჭერენ „თავისუფალი დემოკრატები“. როგორც პარტიის წევრები აცხადებენ, პირველებმა მათ დააყენეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დაუფიქრებლად შეუერთდებიან ნებისმიერ პროცესს თუ პროცედურას.

„მთავრობის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება თავად მმართველმა ძალამ უნდა მიიღოს. ჯერ კიდევ აჭარაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ სიტყვას აქვს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით. ჩვენი პოლიტიკური ძალა არის ორიენტირებული პრობლემების მოგვარებაზე, პროგრესსა და სტაბილურობაზე.

სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას არ შესწევს ამ ყველაფრის უზრუნველყოფის უნარი. ამიტომ, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ პირველებმა დავაყენეთ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დაუფიქრებლად შევუერთდებით ნებისმიერ პროცესს თუ პროცედურას. მთავრობა უნდა შეიცვალოს და ამის თაობაზე გადაწყვეტილება თავად მმართველმა ძალამ უმოკლეს დროში უნდა მიიღოს“, – აცხადებენ ირაკლი ალასანიას პარტიაში.

უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი თვლის, რომ ოპოზიციის მიზანია ქვეყანაში მოხდეს რყევა. ვოლსკი არ გამორიცხავს, რომ მთავრობის გადაყენების მოთხოვნას „თავისუფალი დემოკრატები“ შეუერთდნენ.

„კონსულტაციებზე, არ ვიცი, შესაძლოა, „თავისუფალი დემოკრატები“ წავიდნენ. ჩვენ, არა მარტო დღეს, არამედ ადრეც სამომავლო გეგმები საკმაოდ ინტენსიურად გავიარეთ. კომიტეტებში იყო განხილვა, ეკონომიკური ჯგუფი იყო მისული, საკმაოდ ვრცელი განხილვა მიმდინარეობდა. ვფიქრობ, მთავრობას ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, აქვს საკმაოდ მწყობრი და კარგი გეგმა.

იმის აყოლა, რომ შეიქმნას დესტაბილიზაცია, უადგილოა და ცვლილებები უდროო. ეს არის მიმართული იმისკენ, რომ რყევა მოხდეს ისეთი, სადაც ნაციონალურ მოძრაობას რატომღაც ჰგონია, რომ რაღაც შედეგს მიიღებს. მაგრამ, ვფიქრობ, უარესი იქნება ქვეყნისთვის, თუ ნაციონალური მოძრაობის ამ გეგმას გავყვებით“, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

მთავრობისადმი უნდობლობის საკითხის გამოცხადებისა და იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების გამო პოლიტიკური გაერთიანებების შექმნას არ გამორიცხავს ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომლის განცხადებით, მმართველი გუნდის წინააღმდეგ შესაძლოა, მცირეხნიანი პოლიტიკური გაერთიანება დაიწყოს. მისივე განცხადებით, ოპოზიციას მთავრობის გადადგომის ბრენდის ექსკლუზივის მოპოვება მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ იციან, ადრე თუ გვიან, ეს საკითხი დადგება.

როგორც ხუხაშვილი აცხადებს, საპარლამენტო გადატრიალების და ახალი უმრავლესობის შექმნის თეორიული შანსი არსებობს. კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა საპარლამენტო გადატრიალება მივიღოთ, – ექსპერტი ამბობს, რომ თუ რეალობას გადავხედავთ, ამის მიღწევა ადვილად შესაძლებელია.

„როგორც ადრე მომხდარა, იგივე განმეორდება ახლაც. ძალიან ბევრი დეპუტატი ახლაც გადახტება იმ ბანაკში, სადაც ძალას დაინახავს. ეს უმრავლესობა ძალიან ეკლექტურია, არანაირ ერთიან იდეოლოგიას არ ექვემდებარება. ასეთი ვითარებაში შესაძლებელია მივიღოთ ისეთი სურათი, რომ შედგეს თემატური უმრავლესობა და შეგროვდეს 75 კაცი. გასაგებია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ნაციონალურ მოძრაობასთან არავინ არ შევა, მაგრამ კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, ასეთი უმრავლესობა შესაძლებელია შედგეს“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, აჭარა იყო მოკლე მოდელი იმისა, რა შეიძლება მოხდეს. ხუხაშვილის პროგნოზით, შესაძლებელია საქართველოს პარლამენტში ზუსტად იგივე ანალოგით განვითარდეს მოვლენები. მისივე თქმით, მთელ ამ პროცესში ნაციონალური მოძრაობის მთავარი მოკავშირე არის ხელისუფლების უგუნურობა.

„სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედი დიაპაზონი არა თუ შეამციროს, არამედ კიდევ უფრო გააფართოოს. ასე რომ, სიტუაცია არაა დასამშვიდებელი. ეიფორიაში არიან ის ადამიანები, რომლებსაც არაფერი უკეთებიათ, არც საკუთარი პოლიტიკური წონა და არც გამოცდილება არა აქვთ.

უბრალოდ, ახლა აღმოჩნდნენ კაბინეტებში და თავი რაღაცად მიაჩნათ. პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან შემაშფოთებელია ამ ადამიანების ეიფორია. დღეს რომ ნაციონალები არსებობენ, ეს მათი ეიფორიის ბრალია და ზუსტად, რომ მათ კისერზეა ეს პასუხისმგებლობა“, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

თამარ ქარჩაიძე

◎ ჩაფლავებული აქცია

ამ ოპოზიციას შეკითხვების დასმის უფლებაც არა აქვს

პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე „ევერიონს“ აქტუალურ თემებზე ესაუბრა

– ძალბატონო ხათუნა, თქვენი აზრით, ჩაფლავდა თუ არა 21 მარტის რიხიანად დაანონსებული აქცია?

– 21 მარტის აქციის მიზანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მთავარი ოპოზიციური ძალის ნიშის შენარჩუნება იყო პოლიტიკურ ასპარეზსა და პარლამენტში, აგრეთვე, შიდა და გარე მხარდამჭერთა თვალშიც, თუმცა, პირიქით – ამ აქციამ დაგვანახა, რომ მათ მხარდამჭერთა რიცხვი მზარდი არ არის.

– ნაციონალური მოძრაობა რეგიონებში პერმანენტული აქციების ჩატარებით, ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნითა და პარლამენტში მთავრობის იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებით იმუქრება. რა მიზანს ისახავენ ამ ქმედებებით?

– შემდგომი აქციებიც ამ მიზანზე იქნება ორიენტირებული, ხოლო მათ მიერ მთავრობის იმპიჩმენტის მოთხოვნა აბსურდია, ერთადერთი, ვისაც დღევანდელი მთავრობის დათხოვნა შეუძლია, საპარლამენტო უმრავლესობაა.

– ამბობენ, ნაციონალურ მოძრაობას „სახის“ შენარჩუნებაში დღევანდელი ხელისუფლება უწყობს ხელსო, თქვენ როგორ ფიქრობთ?

– „ქართულ ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობისთვის „სახის“ შენარჩუნება მართლაც სურს, რადგან ხელს აძლევს ისეთი ოპოზიცია, რომელსაც ბევრი შეკითხვის დასმის მორალური უფლება არა აქვს.

ესაუბრა
ია ჯღარკავა

◎ რეპლიკა

ნაცებო, ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში!?

ნაცო კაცუნებო, ასე როგორ უღალატეთ მამა-მარჩენალს, მის მიერ სიმწრით მოგროვილი ფული როგორ გადაღუნეთ, ცოცხებიც კი არ იყიდეთ. არა და ტრაბახობდით, მთელ საქართველოს გამოვიყვანთ აქციაზეო. ეს იყო თქვენი დანაპირები?

ხელისუფლებავ, აქაოდა დემოკრატიას ვიცავთო, სრული კომფორტი შეგიქმნიათ, ეკრანი დაგიდგმევინებიათ, მიშას სიფათი რომ ეხილათ, პოლიცია თითოეულის უსაფრთხოებას იცავდა. ჰოდა, ნაცებო, ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში!

ლონდა მდივანი

◎ ალიან-ჩალიანი

მინისტრი პაციენტებს აფრთხილებს

საქართველოს **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულ პაციენტებს მიმართავს. როგორც დავით სერგეენკომ განაცხადა, ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტებმა მოსალოდნელი პროექტის შესახებ გაიგეს და რეჟიმს და თავის მოვლას თავი დაანებეს. მისივე ინფორმაციით, ბევრი კონკრეტული შემთხვევაა, როდესაც ადამიანებმა მკურნალობის დაწყების იმედით, რეჟიმის დაცვაზე ხელი აიღეს, ღებულობენ ალკოჰოლს და საერთოდ არ იცავენ ძირითად საბაზო პრინციპებს. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს კატეგორიულად მიუღებელი და ძალიან დიდი რისკების შემცველია.**

„ყველა პაციენტს, რომელსაც C ჰეპატიტი აქვს, უმორჩილესად, ვთხოვ გააცნობიეროს, ანტივირუსული მკურნალობა, რომელიც ძალიან მალე მიწვდომადი გახდება, არ ნიშნავს, რომ ღვიძლი მყისიერად გაჯანსაღდება. იმ საბაზო წესების დაცვა, რაც არის ალკოჰოლისაგან სრულად თავის არიდება და გარკვეული კვებითი რეკომენდაციები, სავალდებულოა დასაცავად როგორც დღეს, სანამ მკურნალობას დაიწყებენ, ასევე მკურნალობის პერიოდში და შემდგომშიც. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოცემულობა, რომ იმით არ დაიმედდნენ, რადგან მედიკამენტი გახდება მიწვდომადი, საერთოდ აიღონ ხელი რეჟიმზე, ეს არის ძალიან პრინციპული პოზიცია“, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტთან დაკავშირებით ხელშეკრულებას ხელი 21 აპრილს მოეწერება. პირველი მსხვილი პარტია, 5 ათასი ადამიანის სამკურნალო დოზა საქართველოში ხელშეკრულების ხელმოწერიდან უახლოესი დღეების განმავლობაში შემოვა.

თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხარჯები 1 800 000 ლარით შემცირდება

აღნიშნულის **შესახებ თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციების სხდომაზე ითქვა. ნაციონალურმა მოძრაობამ სხდომაზე წერილი წარადგინა, რომელშიც დავით ნარმანია ფინანსთა მინისტრს მიმართავს ადმინისტრაციული ხარჯების 1 800 000 ლარით შემცირების შესახებ. სხდომაზე დედაქალაქის მერი დავით ნარმანია იყო მიწვეული, თუმცა, იგი საკრებულოში არ მისულა. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ფრაქციების სხდომა მაინც გამართეს და, ძირითადად, ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის განხორციელების საკითხი განიხილეს.**

როგორც სხდომაზე ითქვა, ცინიკურია მერიის მიერ დაანონსებული „ქამრების შემოჭერის“ საკითხი. დედაქალაქის მერიის ადმინისტრაციული ხარჯები 90 მილიონ ლარს შეადგენს, დედაქალაქის მერია კი აპირებს ხარჯები მხოლოდ 1 800 000 ლარით შეამციროს, საიდანაც 1 550 000 ლარი საპრემიო თანხას შეადგენს. ამ თანხაში არ შედის სახელფასო დანამატები, რომელიც მაღალი თანამდებობის პირებისთვის არის განსაზღვრული. ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების თქმით, როგორც ჩანს, მერია მხოლოდ საშუალო და ქვედა რგოლის თანამშრომლებს „შემოუჭერს ქამრებს“, ხოლო კომფორტისა და ფუფუნების თანხების შემცირებას არ აპირებენ.

ინტერპრესი

„შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირების როგორმე თავიდან აცილებაზე რიგითმა მოქალაქეებმაც უნდა ვიზრუნოთ“

საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ვესაუბრებით.

– ბატონო ნოდარ, ნაცმოძრაობის 21 მარტის აქციაზე შეფასებებს აკეთებს ყველა, ვისაც არ ეზარება და თანაც იმისდა მიხედვით, ვისდამი აქვს სიმპათიები. ვინაიდან, ეს ის შემთხვევაა, როცა საკუთარი სიმპათიების მიხედვით მსჯელობაზე მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის უფრო ფართოდ დანახვაა, მინდა, ინტერპრესნიუსის სახელით, გთხოვოთ, ჩვენი საუბარი აქციის გამართვამდე ხელისუფლებისა და ნაციონალების მოქმედებების შეფასებით დავიწყოთ...

– ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ბატონი ივანიშვილი შემოვიდა პოლიტიკურ სარბიელზე და მას ჰქონდა მკაფიო მიზანი, ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი. იგი ამისთვის ყველა რესურსს იყენებდა. ვინაიდან ნაცმოძრაობის ხელისუფლების დემონტაჟი იყო ამოცანა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს პროცესი გაგრძელდა, ანუ საუბარია პოლიტიკური ოპონენტის ნულამდე დაყვანაზე. ივანიშვილს სამართლიანად სურდა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა ხელისუფლების უსამართლობა, ნაკლოვანებები, რაც მათ ჰქონდათ, მაგრამ ეს ყველაფერი მიმდინარეობდა იმის ფონზე, რომ, ვინც დემონტაჟის ობიექტი იყო, ასევე ცდილობდა მოწინააღმდეგის დემონტაჟს, ანუ მისი ამოცანაც მოწინააღმდეგის ნულოვან წერტილამდე დაყვანა იყო. დემონტაჟის ობიექტის ამოცანაც მოწინააღმდეგის დემონტაჟი იყო. ეს გახლავთ არა პოლიტიკური კონკურენციის პრინციპზე აგებული ორთაბრძოლა, როცა მხარეები ერთმანეთის ოპონენტები კი არ არიან, არამედ არიან დაუნდობელი მეტოქეები, რაც მტრობაშიც კი გადადის. ამ ფონზე ქვეყანაში განვითარდა სიძულვილის ენა, რომელიც ორივე მხრიდან ისმოდა. ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ამ საქმეში ვინ მეტად იყენებდა სიძულვილის ენას. მივედით იქამდე, როცა მეორე მხრიდან გაჩნდა ლოზუნგი – წადი! მოწოდება „წადი“! წასვლის გარდა, პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობასაც გულისხმობს. ჩემი დაკვირვებით, პოლიტიკური ოპონენტები ურთიერთგამორიცხვის პრინციპით მუშაობენ. ერთმანეთის კრიტიკაზე კი არ ჩერდებიან, არამედ ერთმანეთს გამორიცხავენ, როგორც პოლიტიკურ ძალას. ორივენი ორიენტირებული არიან ურთიერთლიკვიდაციაზე. პარადოქსული ისაა, რომ ეს პროცესი ორივე მხარეს უნარჩუნებს პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნის შესაძლებლობას. ამიტომაც რჩება შთაბეჭდილება, რომ „ოცნება“ მუშაობს ნაციონალებზე, ხოლო ნაციონალები მუშაობენ „ოცნებაზე.“ ფაქტია, რომ ასეთ ვითარებაში ისინი ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში ინარჩუნებენ პოზიციებს.

ეს რომ ასეა, მიანიშნებს ისიც, რომ შსს-ს მინისტრმა აქციის წინ მხარეები მიიწვია და თამაშის წესებზე შეთანხმდნენ, ანუ განისაზღვრა, როგორ გაგრძელდება მათ შორის მკაცრი და დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლა. ფაქტობრივად, ჩვენ განვითარების ძალიან საინტერესო ფაზაში ვართ. რეალურად, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის კოჰაბიტაცია ახლა მას შემდეგ დაიწყო, როცა მხარეები თამაშის წესებზე შეთახმდნენ, ანუ მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, როგორ იმუშავებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ერთმანეთის ლიკვიდაციისათვის. ამას ლოგიკაში Contradiction in adjecto-ს პრინციპი ჰქვია. ორი აზრიდან ერთი უნდა გამოირიცხოს, არასწორი გამოირიცხოს, ხოლო სიმართლე დარჩეს. ამ შემთხვევაში საუბარია ორიდან ერთის მოსპობაზე. ჩემი აზრით, ისინი შეთანხმდნენ ისეთი თამაშის წესებზე, როცა ორიდან ერთი კი არ უნდა მოისპოს, არამედ ორივე უნდა შენარჩუნდეს.

– ახლა როცა, 21 მარტის აქციასთან დაკავშირებით ვნებათაღელვა მეტ-ნაკლებად ჩაცხრა, უპრიანია, ყურადღება გავამახვილოთ იმ მთავარ გზავნილებზე, რაც ნაციონალების აქციაზე ითქვა, ანუ აქციის პოლიტიკურ შემადგენელზე, იდეებსა და იდეოლოგიებზე. აქციაზე ყველა გამომსვლელი ამტკიცებდა, რომ ნაციონალები ხელისუფლებაში მალე დაბრუნდებიან, მაგრამ თქვენ როგორ შეაფასებდით ნაციონალების მიერ აქციაზე გახმოვანებულ მთავარ პოლიტიკურ გზავნილებს?

– მთავარი პოლიტიკური გზავნილი არის ის, რომ „ოცნების“ მთავრობა უნდა წავიდეს. მე გამიკვირდა, რომ ნაციონალებმა შეტევა მიიტანეს მხოლოდ მთავრობაზე და საერთოდ არ იყო ნახსებები პარლამენტი და „ოცნების“ ის ნაწილი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოშია. დარტყმის ობიექტი იყო მხოლოდ მთავრობა. გარდა ამისა, გაცხადდა, რომ ნაციონალები თვითმმართველ ქალაქებსა და რეგიონებში გახსნიან ანტიკორუფციულ კომიტეტებს. აქციამ გვაჩვენა, რომ მათ ქალაქებსა და რეგიონებში ამის რესურსი აქვთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგიონებში ადამიანთა ჯგუფები იმუშავებენ იმავე პრინციპებით, როგორითაც თბილისში მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“. ნაკლოვანებების მოძიება და სააშკარაოზე გამოტანა ადვილი ამოცანაა, მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში კარგი ხერხია მოწინააღმდეგის დისკრედიტაციისათვის. ეს ნაციონალებს საშუალებას მისცემს, გაიმყარონ პოზიციები პოლიტიკურ სივრცეში და ეფექტურად ებრძოლონ პოლიტიკურ ოპონენტებს. მხილების აქციები საზოგადოებაზე ზემოქმედების კარგი საშუალებაა.

ნაციონალების გზავნილებში მნიშვნელოვანი იყო შერიგებასა და ტოლერანტობაზე, ასევე ეკონომიკურ ამნისტიაზე ორიენტირებული ინიციატივა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ნაციონალებისგან მტკიცება იმისა, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში ისინი შურისძიებას არ მიმართავენ. სხვათა შორის, ეს ორივე იდეა საკმაოდ ბევრი მოქალაქისთვის ძალიან მომხიბლავად გამოიყურება. ჩემი აზრით, მათ მესიჯები კარგად დაალაგეს. საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე გააჟღერეს თავიანთი მესიჯები და იმავდროულად მოარტყეს წერტილში.

– ნაციონალებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები და საზოგადოებას ესაუბრნენ სახელისუფლო წრეებში არსებულ ნეპოტიზმზე, კორუფციაზე, სეკვესტრირებულ ბიუჯეტზე, შემცირებულ ინვესტიციებზე, გაუგებარ სავიზო რეჟიმზე, თანამდებობის პირთა კანონიერ ქურდებთან ურთიერთობებზე, მაგრამ აშკარად გადაამლაშეს ლარის კურსის დევალვაციასთან დაკავშირებით ხელისუფლების ბრალეულობაზე საუბრისას. შეუძლებელია მათ არ იცოდნენ, რომ, როცა ჩვენი სამეზობლოს ქვეყნებში ეკონომიკა საკმაოზე მეტად ცუდ დღეშია, საქართველოს ეკონომიკა და ეროვნული ვალუტა ჯანმრთელი ვერ იქნება...

– მოსახლეობასთან საუბრისას ლარის კურსის დოლართან მიმართებაში ვარდნა თვალსაჩინო არგუმენტია. მოგეხსენებათ, ლარის ვარდნასთანაა დაკავშირებული ფასების მატება და ბევრი სხვა რამ. ამ თემით აპელირება მარტივია და მათ კარგად გამოიყენეს. სინამდვილეში, ლარის სიმყარე ხელოვნურად ნარჩუნდებოდა. მისი რეალური ნიშნული ისაა, რაც ახლაა, ანუ, სამწუხაროდ, ახლანდელი კურსი არის მისი რეალური წონა. შესაძლოა, ლართან დაკავშირებით განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა. თავიდან, მეც აჟიტირებული ვიყავი. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ცუდია, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება. როცა პოლიტიკურ ბრძოლაში მასებზე გაქვს ორიენტაცია და გინდა, მათზე მოახდინო ზემოქმედება, ყველაზე ნაღდია, იმაზე ილაპარაკო, რაც თვალსაჩინოა.

– 21 მარტის აქციამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა, რომ წინა ხელისუფლება ახლანდელისგან განსხვავებით კარგად ფლობს პოლიტტექნოლოგიებს...

– დიახ. მათ აქციაზე ყველაზე მეტად ილაპარაკეს ლარის ვარდნაზე, როგორც კატასტროფაზე. იმას, რაც ლართან მიმართებაში ხდება, კვაზი-კატასტროფას, ანუ მოჩვენებით კატასტროფას დავარქმევდი, მაგრამ მათ ამ თემაზე ბევრი იმიტომ ილაპარაკეს, რომ მოსახლეობა დაერწმუნებინათ ხელისუფლების უუნარობაში. დარწმუნებული ვარ, მსმენელთაგან საკმაოდ ბევრმა ადამიანმა ამ საუბრების მიღმა საკუთარი თავი და საკუთარი ფინანსური პრობლემები დაინახა.

– ნაციონალების სამოქმედო გეგმაში დიდი ადგილი უკავია ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლს, რაზეც სატელევიზიო გამოსვლებში ხშირად უსაუბრია ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს, ანუ, რისკენაც ივანიშვილი საზოგადოებას მოუწოდებს, ნაციონალები პოლიტიკურ ცხოვრებაში დანერგვას თავად აპირებენ ქალაქებსა და რეგიონებში შორეულ პერსპექტივაში კი არა, არამედ უახლოეს მომავალში...

– დიახ, გეთანხმებით. ისიც ცხადია, რომ მათ ხელისუფლებას ამ თვალსაზრისითაც დაასწრეს გააქტიურება. მაგრამ, ამ ვითარებაში მთავარია თავად ივანიშვილის პერსონაჟის როლი ჩვენს საზოგადოებაში. როცა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, მერე თქვა, ხელისუფლებიდან მივდივარო. ის ხელისუფლებიდან კი წავიდა, მაგრამ მართვის ის სტილი შეიმუშავა, რასაც ჰქვია Laissez – Faire, რაც ფრანგულად ნიშნავს – მიდი, მიუშვი! მისი ქართული ვერსია დახლოებით ასეთია – გიჟი მიუშვი ნებასა, თავად შეეყრება ვნებასა.

სამი მართვის სტილი არსებობს – 1. Laissez – Faire – მიდი, მიუშვი! (მიდი, მიუშვი სიტუაცია თვითდინებაზეა და თავისით დალაგდება) 2. ავტოკრატია და 3. დემოკრატია. თითოეული მათგანი ძალიან ბევრ ნაირსახეობას შეიცავს, მაგრამ ახლა ამ საკითხებს აღარ შევეხები. ჩემი აზრით, ივანიშვილმა გადადგა ნაბიჯი, რომ მიდი, მიუშვის სიტუაცია ყოფილიყო, ანუ მოვიდა, გარკვეული ვითარება შექმნა და შემდეგ – წავიდა. მაგრამ, რეალურად, არ წასულა და კულისებიდან მართვის სისტემა მივიღეთ. ჩვენ წინააღმდეგობრივი მიდი, მიუშვი ვითარება გვაქვს. ივანიშვილმა ვითარება თვითდინებაზე კი მიუშვა, მაგრამ თან მართვაში ერევა. მართალია, იგი „მოქალაქის“ უფლებით ერთვება პროცესში, მაგრამ მაინც ერევა.

– დიდია ალბათობა, რომ – მიდი, მიუშვის მართვის სტილს „ქართული ოცნება“ თავად წამოეგოს?

– დიახ. უფრო მეტსაც გეტყვით, „მიდი, მიუშვის“ მართვის სტილი ივანიშვილს უბრუნდება. ამ დაბრუნებას ერთი მხარე პოზიტიური, მეორე მხარე ნეგატიური აქვს. პოზიტიური ისაა, რომ ხალხი, ბოლოს და ბოლოს, შეიგნებს, რომ მას მილიარდერი ვერ უშველის და საშველი ყველამ თავის თავს უნდა დააყენოს. შენს პრობლემებს ვერც ხელისუფლება, ვერც მილიარდერი ვერ მოაგვარებს, თუ ეს შენ თავად არ მოინდომე. ხალხს ჰქონდა იმედი, რომ ივანიშვილი სახელმწიფოს გარდა, მათ პირადად გადაუწყვეტდა პრობლემებს. მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, კარგი სიტუაცია იქმნება იმისათვის, რომ მართლა დალაგდეს ცხოვრება იმით, რასაც ცხოვრების თავად დალაგება ჰქვია. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ ხალხი თვითორგანიზებით დაკავდება და თავად დაიწყებს სერიოზულად ფიქრს თავისი ცხოვრების დალაგებაზე.

მეორე მხრივ, ამით მოხდება ივანიშვილის იმიჯის დევალვაცია. ამის ნიშნები რომ უკვე გაჩნდა, ფაქტია. ლოზუნგი – „წადი!“ და მისდამი მიმართვაში კნინობითი ფორმების გაჩენა სხვას კი არაფერს ნიშნავს. არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ შესაძლოა, ივანიშვილი გახდეს ხალხში იუმორის თემა. კარლ იუნგს აქვს ნათქვამი, – როცა ძალიან ძლიერსა და წარმატებულ ადამიანს ვუყურებ, სულ ის მიელვებს ტვინში, თუ რამხელა იქნება მისი ვარდნა იმ მწვერვალიდან, რომელზეც იგი იმყოფება. ივანიშვილმა პოლიტიკიდან თავისი წასვლით თავად შექმნა საფუძველი მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის. იგი თანამდებობაზე რომც დარჩენილიყო, ეს პროცესი მაინც ასე განვითარდებოდა. შესაძლოა, პროცესების ამგვარად განვითარება იმიტომაცაა გარდაუვალი, რომ მას Laissez – Faire, ანუ – მიდი, მიუშვის სტილის მიმართ ორმაგი მიდგომა აქვს. ეს მას ძალიან ცუდად დაუბრუნდება, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. იგი უდაოდ საინტერესო მოღვაწეა და მინდა, მისი ბედისწერა სხვაგვარ ტალღებზე აიგოს. იმედს ვიტოვებ, რომ მას კიდევ შეუძლია სიტუაციის შემოტრიალება.

– რამდენიც არ უნდა იტრაბახონ ნაციონალებმა 21 მარტს ჩატარებული აქციით ან მასზე იქილიკოს ხელისუფლებამ, მთავარი მაინც ის არის, საზოგადოებამ როგორ აღიქვა ნაციონალების პოლიტიკური გზვნილები და აქვთ თუ არა ნაციონალებს შანსი, 2016 წლის არჩევნებისთვის ხალხი ისევ თავისკენ შემოაბრუნონ. თქვენი აზრით, საზოგადოებამ როგორ აღიქვა ნაციონალების 21 მარტის აქცია და, სავარაუდოდ, რა გავლენას იქონიებს იგი უახლოეს მომავალში შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე?

– პროგნოზირება ძნელია, ვინაიდან ამ საკითხს კვლევა უნდა. ეს თემა კვლევის კარგი თემაა. ისევე როგორც იმას სჭირდება კვლევა, თუ როგორ აღიქვა საზოგადოებამ ნაციონალების აქცია და მათგან წამოსული მესიჯები. პირველი რეაქცია რაც მაქვს, არის ის, რომ ახლა საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ადამიანებს შორის პოლარიზაცია. პოლარიზაცია გაიზრდება პოლიტიკურ მხარეებს შორისაც. ნაციონალები და მათი მომხრეები კიდევ უფრო გააძლიერებენ წნეხს მოწინააღმდეგეზე, ანუ „ოცნებაზე“. თავის მხრივ, „ოცნების“ მხარე კიდევ უფრო გააძლიერებს წნეხს ნაციონალებზე. ახლა მე ვსაუბრობ არა მხარეების ლიდერებსა და ხელისუფლებაზე, არამედ ორივე ბანაკში მყოფ ჩვეულებრივ მხარდამჭერ ადამიანებზე. სხვა რომ არაფერი იყოს, სოციალური ქსელი ამის კარგი მაგალითია. სოციალურ ქსელში ხშირად მსაყვედურობენ, რატომ არ ვარ „ოცნებაში“. მე არც „ოცნებაში“ და არც არსად არ ვარ. იმის თქმა მინდა, რომ ორივე ბანაკის მხარდამჭერები გააძლიერებენ ერთმანეთზე ზეწოლას. ეს კი საზოგადოებაში პოლარიზაციის ხარისხს გაზრდის. პროცესები რომ აქეთკენ მიდის, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ „ოცნების“ მხარდამჭერებმა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე ბავშვებს აჩვენეს სისასტიკის სცენები. მე სულაც არ მგონია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ხელისუფლების მაღალ დონეზე იქნა მიღებული. ეს ნიშანია იმისა, რომ მხარეები ერთმანეთთან დასაპირისპირებლად სულ უფრო მეტ ნაბიჯებს გადადგამენ. ძალიან ვწუხვარ რომ ვამბობ – ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და საზრუნავი უახლოეს მომავალში სამოქალაქო დაპირისპირების აცილება ექნება. ამ თვალსაზრისით, კარგი პოზიცია ჰქონდა შსს-ს მინისტრს, მაგრამ ჩვენც, შესაძლო სამოქალაქო დაპირისპირების როგორმე თავიდან აცილებაზე რიგითმა მოქალაქეებმაც უნდა ვიზრუნოთ.

– 21 მარტის აქციის პოლიტიკურ შედეგებზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ ასევე ერთ მნიშვნელოვან თემას. აქციაზე ხელისუფლების მისამართით საკმაოდ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. ახლა მთავარია, აქვს თუ არა მოქმედ ხელისუფლებას რესურსი, რომ ყოველდღიური საქმიანობით, ადეკვატურად და ეფექტიანად უპასუხოს ოპონენტების კრიტიკას?

– მივიჩნევ, რომ ხელისუფლებამ ოპონენტების ყველა კითხვაზე პასუხი არ უნდა გასცეს, რადგან პასუხს მოჰყვება პასუხის პასუხი, შემდეგ პასუხის პასუხი, ისევ პასუხი. თუ ხელისუფლებას რამე სამოქმედო გეგმა აქვს, იმოქმედოს და ნაკლები დრო დაუთმონ ოპონეტების განცხადებებზე პასუხების გაცემას. ჩემი აზრით, მთავრობამ პოლიტიკურ განცხადებებზე განცხადებები კი არ უნდა აკეთოს, არამედ რეაქცია უნდა ჰქონდეს მოსახლეობის საჭიროებებზე. მათი ხედვის არეალი მოსახლეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული. აქ კი, ჩემი აზრით, პრობლემა ის არის, რომ რითაც ნაციონალებმა დაამთავრეს, „ოცნებამ“ იმით დაიწყო. კერძოდ, ნაციონალებმა დაიწყეს კორუფციასთან ბრძოლით, მაგრამ დაამთავრეს ელიტური კორუფციით. „ოცნებამ“ კი ელიტური კორუფცია მოსვლისთანავე დაიწყო. დაირიგეს პრემიები და ძვირფასი მანქანების შესყიდვა ჩვევად ექცათ. ნეპოტიზმი, კორუფცია და რაღაც ფორმით ქურდულ სამყაროსთან ურთიერთობა რომაა ჩვენს სინამდვილეში, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლებას არ უარუყვია. როცა მოქმედების ასეთი ხაზი გაქვს არჩეული, ანუ ამას აკეთებ, ხელისუფლების პასუხი არც ერთ კითხვასა და კრიტიკულ შენიშვნაზე სარწმუნო არ იქნება.

მთავარია, ხელისუფლებამ ისე დაალაგოს ქმედებები ოპოზიციის კრიტიკაზე, რომ ამ ქმედებებითვე იყოს პასუხი ოპონენტის კრიტიკაზე. არა განცხადებებით, არამედ ქმედებებით უპასუხოს ოპოზიციას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ოცნება“ ვერ აცნობიერებს, რომ ქვეყანა ცუდ დღეშია და თავადაც ცუდ დღეში არიან. ცუდად მენიშნა დეპუტატ საგანელიძის სურვილი, დაეტოვებინა უმრავლესობის ლიდერის თანამდებობა. ეტყობა, ეგ ჭკვიანი კაცია და უნდა ვითარებას მანამდე განერიდოს, ვიდრე სიტუაცია კიდევ უფრო აირევა.

ჩემი აზრით, „ოცნებას“ კარგი მომავალი არ აქვს, თუ მან არ დაიწყო სწორი ნაბიჯების გადადგმა და პრაქტიკაში რეალური საქმის კეთება. ვიმეორებ, კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ოპონენტების კრიტიკაზე პასუხს სწორი ქმედებებით გასცემს. დანარჩენი კი კომედიაა...

კოგა გენდელიანი

◎ ციკლიდან „დროის იეროგლიფები

სახელთა ჯიალოსანი

ეს სიტყვა სახელდახელოდ ითქვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, შესანიშნავი, გამორჩეული კრებულის „აფხაზეთი. ლიტერატურა და ხელოვნება“ წარდგინებაზე.

შევეცდები აღვადგინო, როგორც მომიხერხდება.

ასეთ წიგნებს, ასეთ დღეებს ყველაზე მეტად სჭირდება სიტყვის შეშველება, რათა გამოძახილიც შესაფერისი ჰპოვონ და არ ჩაიკარგონ შემოზღუდულ გარემოში, მარტოდენ ერთმანეთს რომ გავუზიარებთ ჩვენს სიხარულსა თუ გულისწუხილს, ამოვაფრქვევთ სატკივარს, დავსახავთ მიზნებს და... დავიშლებით.

ასეთი წიგნები აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში, და თვით ისეთ პირობებშიც, როდესაც ტელევიზიები მხოლოდ საიმისოდ მიმართულან, როგორ ჩაშრიტონ ადამიანში ბუნებრივი მისწრაფებანი და ტკივილები და ჩვენი ცხოვრება არხეინობასა და ტაკიმასხარაობას დაამგვანონ, უზრუნველ და ბედნიერ ყოფაში რომ გულს აგირევს უგემოვნობითა და... უგემოვნობას კიდევ ვინ ჩივის, სრული ზნეობრივი დეგრადირებით... ჩვენს პირობებში ხომ...

დაე მათ თავისი...

ჩვენ კიდევ ჩვენი, იმ იმედით, რომ ოდესმე ჭეშმარიტებასაც დაუდგება თავისი ჟამი!..

* * *

პროექტები ცვენის ხანად იქცა ჩვენი სინამდვილე და ამ შემთხვევაშიც, როგორც ყველგან და ყველაფერში, მეტად იშვიათია ჭეშმარიტი ღირებულება, ნაცრისფერი ნაკადი რომ მოედინება სახიფათოდ, თუმც ნაცრისფერ ნაკადს ვინ ჩივის, ხშირად პროექტები არც განსხვავდება სახელმწიფო ქონების დატაცებისაგან.

მაგრამ გაიგონებ თუ არა ღირსეულ ადამიანთა სახელებს, იმთავითვე დაბეჯითებით მოგეხსენება, თუ რა რანგისა და მნიშვნელობისა შეიძლება იყოს ესა თუ ის წამოწყება.

ამჟამად როგორც არის, ამ კრებულს „აფხაზეთი. ლიტერატურა და ხელოვნება“ გადავშლით თუ არა და შემდგენელ-რედაქტორად ნატო კორსანტიას გვარ-სახელს მოვკრავთ თვალს, შესანიშნავი ჟურნალისტისა და მრავალმხრივ განათლებული პიროვნების, ამ ურთულეს საქმესაც წარმატებით რომ შესჭიდებია.

იდეა გონივრულადაა მიგნებული, მაგრამ ჩინებული იდეა არაერთი ვიცით, შესაფერისად რომ ვერ შესხმია ხორცი, მითუმეტეს, როდესაც ცდილობ ერთ გარეკანში მოაქციო სულიერი ცხოვრების ყველა განზომილება, — ლიტერატურაც, ფოლკლორიც, კლასიკური და საესტრადო მუსიკაც, თეატრიც, კინოც, მხატვრობაც და კალიგრაფიაც კი, მზერა მიმოატარო იმ ადამიანებსა და ღვაწლზე, აფხაზეთის მხარის კულტურა რასაც ჰქვია — გამოდევნილის, მიმოფანტულის, რაც ძალზე აძნელებს თვალის გადავლებას.

მოცულობის შეზღუდვის გამო კრებულში ვერ შეიტან ავტორთა საუკეთესო ქმნილებებს, იძულებული ხარ მცირე ნიმუშები შეარჩიო და მათ ღვაწლზეც მოკლედ ამცნო მკითხველს, მაგრამ ისე კი უნდა იყოს ეს ყოველივე შერჩეული, შთაბეჭდილება არ განელდეს, ხოლო კრებული წარმოდგეს არა რაღაც ეკლექტურ თავმოყრად ერთმანეთთან დაუკავშირებელი თხზულებებისა, არამედ ერთიან პანორამად, შინაგანი სიმტკიცე და მომხიბვლელობა რომ აღავსებს, და ჩამთავრებისთანავე კანთიელად ამიტომაც შეიგრძნობ იმ მონუმენტურობას, რაც მანამდე ან ვერ წარმოგედგინა, ანდა ჩაფერფლილი თუ სულაც გამქრალი გეგონა.

გამოდევნა, მიმოფანტვა უმძიმესი დარტყმაა ადამიანებისთვისაც და კულტურისთვისაც, მაგრამ სისასტიკე თვითვე შობს წინააღმდეგობის მძაფრ ჟინსაც და გასალკლდევებს, სასოწარკვეთილებაში კი ვერ გაგდებს.

ეს ჭეშმარიტება საცნაურია ამ კრებულიდანაც, გულდასმითა და ფაქიზად რომ არის შედგენილი, მაგრამ ზოგიერთი ხელოვანი უნებლიეთ მის გარეთ თუ დარჩენილა, დიდად არ უნდა გაგვიკვირდეს — მზერა ერთბაშად ყველაფერს მაინც ვერ წვდება.

ამგვარი გამოცემების მნიშვნელობა ისიცაა, რომ ერთიანი სურათის აღდგენა უფრო ადვილად მიგაგნებინებს იმ გამორჩენილ სახელებსაც, ხელმეორე გამოცემა თუ ახალი კრებული კიდევ უფრო სრულყოფილი რომ იქნება.

ამასობაში ახალი ტალანტებიც გამოჩნდებიან, თავიანთ კუთვნილ ადგილს რომ მოითხოვენ კრებულის ფურცლებზეც და იმ ტერიტორიულ სივრცეშიც, რომლის ყოფაც გადმოცემებით იციან და მწველი წადილი კი აქვთ, საკუთარ თავზეც გამოსცადონ, თუ რას ნიშნავს სოხუმსა და აფხაზეთის მხარეში ცხოვრება.

კრებულის „აფხაზეთი. ლიტერატურა და ხელოვნება“ კომპოზიციურ აღნაგობასა და მიზნებზე ჩინებულად ისაუბრა მისმა შემდგენელ-რედაქტორმა.

ყველამ გულისყურით მოვისმინეთ აფხაზეთის კულტურისა და განათლების მინისტრის დიმიტრი ჯაიანისათვის ჩვეული მღელვარე გამოსვლაც, იმ ადამიანის, ურომლისოდაც ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა, ახლა გვარ-სახელთა წყება კრიალოსანივით რომ ასხმულა და თვითეული მათგანის მიღმა ძალაუნებურად ხედავ იმ დრამატიზმსა და უზომო ტკივილს, რომელიც ვერასოდეს დაშოშმინდება დევნილებასა და დაფანტულობაში, ხოლო მათი ერთად თავშეყრა რომ გარდუვალია, ეს კრებულიც მიგვანიშნებს სიმბოლურად — **ეს** გაერთიანება **იმ** გაერთიანების წინ.

ამ კრიალოსნიდან გამოვარჩევდი ოთხ სახელს, იმ მშვენიერ გუნდს, უკვე რამდენიმე წელია ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთა რომ ჰქვია — ნინო ვახანია, სალომე კაპანაძე, ნანა კუცია და მარინე ტურავა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ქართული ლიტერატურის მდინარება, მის შუაგულში ასე მტკიცედ რომ დგანან და არაფერს ტოვებენ გაუაზრებელს, შეუფასებელს, ადგილის მიუჩენელს.

ნურავინ დაიჯერებს იმ — დაე ითქვას პირდაპირ — ჩიტირეკიულ განცხადებას, ხან საიდან რომ მოგვესმის ხოლმე და ხანაც საიდან: ქართული კრიტიკა არ არსებობსო!..

შენ თუ წერა-კითხვა გიძნელდება ან ვიღაცაზე გაგულისებულს თვალთახედვა საერთოდაც დაგჩლუნგებია, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მართლაც არ არსებობდეს ქართული კრიტიკა.

თავი რომ დავანებოთ სხვა თვალსაჩინო კრიტიკოსებს, რომელთა ნაკლებობასაც ნამდვილად არ განვიცდით, ჯერ მარტო ამ ოთხეულის ნაღვაწი არ გიტოვებს უფლებას, უდიერად წამოჰკრა ხელი დღევანდელ ქართულ სალიერატურო კრიტიკას.

ოთხეული ვახსენე და... ხუთეული კი უნდა მეთქვა.

უკვე აღარ გამოიტოვება ჩამონათვალში თამარ ყალიჩავას სახელიც, რომლის ჩინებული სტატიებისა და ნარკვევების წყებაც ძალდაუტანებლად გვიბიძგებს, ეს ახალგაზრდა ქალიც თავისი ყოფილი ლექტორების გვერდით მოვიხსენიოთ და იმ შევსებულ თუ სულაც ახალ გამოცემაშიც შესაფერისად წარმოვადგინოთ.

დაე ხვალემ იზრუნოს ხვალისა და... ისიც ხვალემ მოაგვაროს, მომავალ გამოცემათა წარდგინება ჯერ სოხუმში რომ გაიმართოს და მერე აფხაზეთის სხვა სოფელ-ქალაქადაც, რათა იქ დაბრუნებულმა ქართველობამ უკლებლივ იგრძნოს ჯეროვანი ყურადღება...

თუმც მთლად „ხვალესაც“ ნუ გადავაბარებთ ყველაფერს და ჩვენც გავანძრიოთ ხელი, ვისაც რა უნარი მოგვდევს... და რათა ახდეს ჩვენი სწრაფვა და ოცნება, ჯიუტად უნდა ვიმეოროთ, სადაც მოგვიხდება და როგორც მოგვიხდება, და ახლაც, ამ წუთსაც მხოლოდ ასე თუ შეიძლება დასრულდეს ჩემი გამოსვლაც:

— მომავალ შეხვედრამდე სოხუმში!

როსტომ ჩხეიძე

◎ დიპლომატის ხედვა

ნატოს საწვრთნელი ცენტრი, რაც შეიძლება, მალე უნდა ამოქმედდეს!

ბატონ გოგი თოფაძეს სწამს ის, რასაც ამბობს. უფრო სწორად, არც არასოდეს არ დაუმალავს, ყოველთვის ამ აზრზე იყო. სხვა საქმეა გაიზიარებს თუ არა ჩვენი საზოგადოება ამ მოსაზრებას“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, რომლის განცხადებით, ქვეყნის ძირითადი პრობლემა გახლავთ ის, რომ ერთიანი ხმით საუბარს ვერ ახერხებენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც საერთო პოლიტიკური მიზანი აქვთ გაცხადებული.

რა შენიშვნები არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ და რა ბერკეტები აქვს ქვეყანას, აიცილოს რუსეთისგან მოსალოდნელი ზეწოლა? ამ საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება ირაკლი მენაღარიშვილი.

— მას შემდეგ რაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ხელისუფლება დატოვეს, კითხვა — შეიცვალა თუ არა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა? — კვლავ აქტუალურია. რამდენად ლეგიტიმურია კითხვები ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით?

— მითქმა-მოთქმას ქვეყნის საგარეო კურსის შესაძლო ცვლილების შესახებ, საგარეო პოლიტიკასთან კავშირი არ აქვს. ეს უფრო შიდა მოხმარების საგანია და მეტი არაფერი. ქვეყანას არჩეული კურსი არ შეუცვლია. დღევანდელ ხელისუფლებას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვას, უამრავი რამ შეიძლება ვუსაყვედუროთ და საფუძველიანადაც, მაგრამ სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების თაობაზე ატეხილი ხმაურის მიზანი მხოლოდ შიდა პოლიტიკური ქულების დაგროვებაა.

— პოლიტიკურ ეჭვიანობას დავაბრალოთ „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადება, რომ ქვეყანამ საგარეო კურსი შეიცვალა? ის, რაც ხდება დღეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, მათ შორის კახეთი—ავარეთის გზის სავარაუდო მშენებლობა, რასთან დაკავშირებით ხელისუფლების რეაქცია საზოგადოებისთვის უცნობია...

— მოდით, ყველაფერს ერთ კალათში ნუ ჩავყრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობას გააღრმავებს. საკითხები რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ეს სულ სხვადასხვა ხასიათისაა. აქედან ზოგი ინფორმაცია უსაფუძვლოა, ზოგი სერიოზული პრობლემაა, მაგრამ სულ სხვა ტიპის და კლასის. არც ერთს და არც მეორეს კავშირი ქვეყნის საგარეო კურსთან არა აქვს. როგორც მოგახსენეთ, საფუძვლიანი და სერიოზული შენიშვნები არსებობს უამრავი სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობის თაობაზე, მაგრამ ამას კურსის ცვლილებასთან კავშირი არ აქვს.

— კონკრეტულად რა შენიშვნები არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ?

— საუბარია იმაზე, რამდენად დროულია რეაქცია ყველა იმ მოვლენაზე, რაც ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ხდება. არის თუ არა ერთმანეთთან შეთანხმებული, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ნაბიჯები. როცა სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ურთიერთობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ძალიან ძნელია აუხსნა მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელსაც კი, რატომ შეიძლება ეს ცივილიზებულ სახელმწიფოში ხდებოდეს. და ბოლოს, ისევ და ისევ, კომუნიკაციის პრობლემა — ეს ეხება ჩვენს დიალოგს საერთაშორისო პარტნიორებთანაც და ხელისუფლების დიალოგს საზოგადოებასთანაც. ასე რომ, გასაკრიტიკებელი და გასასწორებელი მართლაც საკმაოდაა.

— ბატონო ირაკლი, კომუნიკაციის პრობლემად შეიძლება შევაფასოთ პარლამენტის წევრის გოგი თოფაძის განცხადება?

— ბატონ გოგი თოფაძეს სწამს ის, რასაც ამბობს. უფრო სწორად, არც არასოდეს დაუმალავს, რომ ის ყოველთვის ამ აზრზე იყო. სხვა საქმეა გაიზიარებენ თუ არა ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები ამ მოსაზრებას. რა თქმა უნდა, მე ვერ გავიზიარებ იმას, რასაც ბ-ნი გოგი თოფაძე ამტკიცებს. საქართველოს უახლესი ისტორიის მომსწრე ადამიანმა შეუძლებელია სხვაგვარი რამ დაასკვნა. ბატონი გოგი გუშინ არ მოსულა პოლიტიკაში და ამდენი წლის განმავლობაში რეალობა როგორმე მასაც უნდა დაენახა. თუ ეს მას არ სურს, ან ვერ ახერხებს, ეს მისი პრობლემაა. ასეთი ადამიანები ქვეყანაში იყვნენ და არასად არ წასულან.

იხ. 6 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ქართული ბატალიონი ავღანეთში გააცილეს

ვაზიანში მეოთხე მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში „მტკიცე მხარდაჭერის“ სამშვიდობო მისიაში მონაწილე 43-ე ბატალიონის გაცილების ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა, რის შემდეგადაც მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და საერთაშორისო მისიებში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას. გაცილების ცერემონიალის დასასრულ პირადი შემადგენლობა შეიარაღებული ძალების მთავარმა კაპელანმა მამა დავითმა დალოცა.

შეიარაღებული ძალების მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი ავღანეთში ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, მე-5 ქვეითი ბრიგადის 51-ე ბატალიონს ჩაანაცვლებს. ქართველი სამხედროები 6 თვის განმავლობაში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფარგლებში ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად სრული სპექტრის ოპერაციებს განახორციელებენ. მათი მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

ინტერპრესი

◎ ორთოდოქსი რაბინის შეგონება

„სტეპან ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო“

საქართველოში ევრაზიის ინსტიტუტის მოწვევით იმყოფებოდა ორთოდოქსი ებრაელი რაბინი — ხასიდი, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე — იგაელ იეჰუდი, რომელიც ამჟამად ბელორუსიაში ცხოვრობს. მან ლექციები წაიკითხა ქართული აკადემიური საზოგადოებისათვის. ლექციების თემა იყო მეორე მსოფლიო ომი და, განსაკუთრებით, უკრაინის მძიმე წარსულის ფაშისტური ეპიზოდები, უკრაინისავე სავალალო აწმყოს ჩათვლით.

რაბინმა იეჰუდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელ უკრაინაში „ეროვნულ გმირად“ შერაცხილ სტეპან ბანდერას, გავრცელებული პროპაგანდის საპირისპიროდ, არასოდეს უბრძოლია გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ასევე, რომ ბანდერა მივიჩნიოთ ჰიტლერის უბრალო „კუდად“, დანამატად. **„ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო“** — ამბობს ებრაელი რაბინი.

საბჭოთა კავშირის როლს მეორე მსოფლიო ომში იგაელ იეჰუდი ცალსახად აფასებს. **„როგორც იმ ერის შვილი, რომელსაც ნაციზმი ჰპირდებოდა ამოწყვეტას და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია ამ საქმეში, ნაციზმს მივიჩნევ აბსოლუტურ ბოროტებად. იმ ძალებს, რომლებმაც დაამხეს ნაცისტური რაიხი, მივიჩნევ აბსოლუტური სიკეთის მიერ მოვლენილ ძალებად. ნებისმიერი მცდელობა, ნაცისტების გათეთრების, ნებისმიერი მოწოდება, უფრო კეთილგანწყობილად შევხედოთ მათ, ვინც ნაცისტებს ჩემი ხალხისა და სხვა ხალხების გენოციდის განხორციელებაში ეხმარებოდნენ, მე ვერანაირად ვერ გავიზიარებ“** — განაცხადა მან სპეციალურ ბრიფინგზე.

სტუმარმა ლექციებზე ისაუბრა სხვადასხვა ქვეყნებში ნაცისტური იდეოლოგიის მიზეზებსა და რეციდივებზე, აბრაამული რელიგიების ფასეულობათა წინააღმდეგ მიმდინარე შემოტევასა და რელიგიურ-ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პერსპექტივებზე. იგაელ იეჰუდიმ ასეთი ტერმინიც შესთავაზა საზოგადოებას —„ორთოფობია“, რაც ყველა ტრადიციული რელიგიისა და ამ რელიგიებიდან გამომდინარე მორალისა და ფასეულობების წინააღმდეგ სიძულვილსა და ბრძოლას გულისხმობს.

მან აღნიშნა, რომ როდესაც ნაციზმის სულისკვეთებაზეა ხოლმე საუბარი, „საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაციზმი არსებობდა არა მხოლოდ გერმანელ ხალხს შორის, სადაც ნაციზმმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოიცვა“. იეჰუდიმ გაიხსენა 1941 წლის ივლისის ლვოვის მოვლენები. **„ებრაელების ხოცვამ ლვოვში ორ ეტაპად ჩაიარა: 1941 წლის ივლისის პირველ დღეებში და იმავე ივლისის ბოლოს. პირველი ხოცვა-ჟლეტა გერმანელების ტაშის ფონზე მიმდინარეობდა. ბანდერულ ჯარებს სურდათ, ეჩვენებინათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გერმანელებს ისე ხვდება, როგორც განმათავისუფლებლებს და საკუთარი ინიციატივით ახორციელებს ებრაელების ამოწყვეტას. ბანდერელები ახდენდნენ ამის დემონსტრირებას, მაგრამ არა გერმანელების დავალებით. ეს სრულიად მათი საკუთარი ინიციატივა იყო“** — განაცხადა მან.

მისივე თქმით, ლვოვში იმჟამად დაახლოებით 4 ათასი ებრაელი დაიღუპა, მაგრამ უკრაინაში არავინ ფიქრობს ამ დანაშაულებების გამო ბოდიშის მოხდას: **„ეს მოქმედებები დღემდე არც ერთ უკრაინულ ხელისუფლებას არ დაუგმია, არც პარტიებს, არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინის სახელმწიფოს მეთაურებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინაში არავინ გამოსულა ამ ნაცისტური მხეცობების დასაგმობად. ამ მხრივ უკრაინა გერმანიას ჩამორჩება. გერმანიაში გერმანელების მიერ ჩადენილი დანაშაულების ფაქტები ჩამოთვლილი, დასახელებული და დაგმობილია. უკრაინაში კი არაფერი ამდაგვარი არ ხდება“** — აღნიშნა რაბინმა.

იეჰუდის აზრით, დღესდღეობით არსებობს „მეოთხე რაიხის“ საფრთხე. **„დასავლური იმპეროფაშიზმი, რომელიც სულ ახალ და ახალ ქვეყნებსა და ხალხებს იპყრობს და მას გლობალიზმს უწოდებს, გვევლინება ნაცისტურ რაიხში წარმოშობილი იდეების პირდაპირ გაგრძელებად“** — ამბობს იეჰუდი.

რაბინს მიაჩნია, რომ ეს მოვლენა ეფუძნება დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლურ-სლავურ, მართლმადიდებელ სამყაროს შორის დაპირისპირებას.

რაბინი იგაელ იეჰუდი წარმოშობით ბელარუსიდან არის, ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, ბელარუსში ცხოვრობს, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა ისრაელში და ისრაელის მოქალაქეა.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: **„ყოველივე ის, რაც თქვენ მოისმინეთ, მორწმუნე ებრაელმა ადამიანმა თქვა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დღესდღეობით ჩვენი მედასავლეთეები ცდილობენ, ფაშისტები ჰუმანისტებად წარმოაჩინონ, ოღონდ კი ყველაფერში რუსეთის დემონიზაცია მოახდინონ და ჩვენს ხალხებს შორის ხელოვნური განხეთქილება შეიტანონ. ამიტომ საჭიროა იმის შეხსენება, რომ ნაციზმსა და ფაშიზმს ამაზრზენი სახე აქვს. დღევანდელი უკრაინა ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი კი არა, საშინელი გაკვეთილი უნდა იყოს, თუ როგორ არ უნდა მოვიქცეთ.**

ჩვენ სპეციალურად არ მოვიწვიეთ რუსეთის მოქალაქე ებრაელები, მოვიწვიეთ ისრაელის მოქალაქე, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელია რუსეთის ხელისუფლებისაგან. ამიტომ ვერავინ დაგვწამებს ტენდენციურობას. ასეთი ადამიანის ნათქვამი მეტი დაფიქრების საბაბი უნდა გახდეს ჩვენთვის.

აქვე აუცილებლად მინდა, აღვნიშნო რაბინ იეჰუდის უდიდესი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ, ისევე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანებისა და ტრადიციული მუსლიმების მიმართ. იგაელ იეჰუდი სამი აბრაამული რელიგიის — ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის ჰარმონიული თანაარსებობისა და დასავლური ნეოწარმართობის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების გულწრფელი მომხრეა“.

ავთანდილ ბექაური,

სურათებზე: იგაელ იეჰუდი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში (თბილისი); გულბაათ რცხილაძე და იგაელ იეჰუდი მეუღლესთან, ანჟელა რაზლუცკაიასთან ერთად (სასტუმრო „ვერე პალასი“, თბილისი).

◎ დიპლომატის ხედვა

ნატოს საწვრთნელი ცენტრი, რაც შეიძლება, მალე უნდა ამოქმედდეს!

(მეხუთე გვერდიდან) მმართველი კოალიციის ამოცანაა, საზოგადოებას აუხსნას თავისი დამოკიდებულება ამგვარი პოზიციისადმი. ჩვენი საზოგადოების ძირითადი პრობლემა კი გახლავთ ის, რომ ერთიანი ხმით საუბარს ვერ ახერხებენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც იდენტური პოლიტიკური მიზანი აქვთ გაცხადებული. როგორც ჩანს, აქ პიროვნული, ვიწროპარტიული, ზოგ შემთხვევაში, ეგოისტური ინტერესები მძლავრობს ხოლმე.

— შიდა დაძაბულობისა და დაპირისპირების ფონზე, ჩვენ ვხედავთ, რომ აქტიურდება პრორუსული პროპაგანდა საქართველოში. რამდენად მოსალოდნელია რუსეთმა ეს ძალა გამოიყენოს საქართველოზე ზეწოლისთვის, რომ ქვეყანამ უარი თქვას თავის არჩევანზე?

— არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთი საქართველოს არჩევანისადმი თავის დამოკიდებულებას შეცვლის. უფრო მეტიც, უნდა ველოდოთ, რომ სხვადასხვა მეთოდით ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება. სწორედ ამიტომაც გვჭირდება ერთად დგომა და ძალების კონსოლიდაცია.

— რა ბერკეტები აქვს ქვეყანას, რომ აიცილოს რუსეთისგან მოსალოდნელი ზეწოლა? ჩვენ ვხედავთ, რა ხდება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში...

— რუსეთის პოლიტიკა საკმარისად კარგად არის ცნობილი. ყველაფერი რასაც იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აკეთებს, ეს რუსეთის რეაქცია გახლავთ საქართველოს უარზე, დაყვეს რუსეთის ნებას — ხელი აიღოს ევროპულ არჩევანზე. რას შეიძლება ველოდოთ? რა თქმა უნდა, იქნება ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მცდელობა, როგორც ცალკეული პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის, ისე დამატებით კიდევ ახალი სტრუქტურების შექმნის, ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ახალი პერსონაჟების მოვლინებისა, თუ ყოფილი ე.წ. აქტორების რეანიმაციის გზით და ა.შ.

— ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ არსებობს ეკონომიკური ბერკეტები — თავის დროზე დაშვებული ვაჭრობის კვლავ აკრძალვა რუსეთს ძალიან სწრაფად შეუძლია.

— ყველაზე უარესი, რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირი აგრესიის პრესპექტივა. ამის შესანიშნავი მაგალითია უკრაინა და ჩვენი მტკივნეული წარსული, როგორც უკვე გითხარით, სასიცოცხლოდ აუცილებელია ერის კონსოლიდაცია და ერთად დადგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მივიღოთ.

— ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შემაკავებელი ფაქტორი არის ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრი. ბატონო ირაკლი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რამდენად მნიშვნელოვანია ამ ცენტრის მშენებლობის დროულად დაწყება?

— აქ ლოდინი აღარ გვჭირდება, ამ გადაწყვეტილებას სჭირდება რეალიზაცია. ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრი შესაქმნელია და ასამუშავებელი, ისევე, როგორც ყველა სხვა ღონისძიება, რომელიც ნატოს გეგმით არის გათვალისწინებული.

— რუსეთის მხრიდან ოკუპირებულ რეგიონებთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ე.წ. შეთანხმების გაფორმება, შეიძლება ხელისუფლების პასიურობას დაბრალდეს? მოგეხსენებათ, ოპონენტები საყვედურობენ ხელისუფლებას, რომ დასავლეთთან ურთიერთობაში პასიური და არაადეკვატურია...

— მე არ ვიხმარდი ამგვარ შეფასებას. თუმცა, ნამდვილად არ იქნებოდა ზედმეტი, კიდევ ერთხელ სერიოზულად დავფიქრებულიყავით, რა შეიძლება დამატებით გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის კიდევ უფრო მტკიცე და აქტიური მხარდაჭერა მოიპოვოს.

ერთმნიშვნელოვნად აუცილებელი გახლავთ მსოფლიოსთვის იმის დანახვება, რომ ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება და რაც საქართველოში 2008 წელს მოხდა, ერთი და იგივე პროცესის მხოლოდ სხვადასხვა ნაწილია, რომ ეს შემადგენელი ელემენტებია რუსეთის ერთიანი დიდი სტრატეგიული გეგმისა, რომლის საბოლოო მიზანი — ყოფილი „ბოროტების იმპერიის“ აღორძინება, მეტად საშიში პერსპექტივა გახლავთ ცივილიზებული მსოფლიოსთვის.

დასავლეთშიც კი, ამ ორ მოვლენას, როგორც ერთიანი პოლიტიკის ნაწილს, მხოლოდ ანალიტიკოსთა ნაწილი ხედავს. პოლიტიკურ წრეებში ჯერ ამის მკაფიო გაგება არ ჩამოყალიბებულა. აქ ბევრია სამუშაო და ამიტომაც ამ მიმართულებითაა საჭირო ძალისხმევის გაზრდა.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა.

◎ ალიან-ჩალიანი

ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები ორ თვეს გაგრძელდება

ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით საავტომობილო გზა დაიკეტა. მეტეხის გვირაბთან არსებულ ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების გამო, იალბუზის ქუჩიდან ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით საავტომობილო გზის სავალი ნაწილი დაიკეტა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა შესაძლებელია იალბუზის ქუჩიდან მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით. შეცვლილი მარშრუტით იმოძრავებს ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „23 მარტის“
№ ს-123 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება''. მე-V უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ^3)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 27 აპრილს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 27 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 27 აპრილს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „23 მარტის“
№ ს-124 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება''. მე-VI უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ^3)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 27 აპრილს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 27 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 27 აპრილს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „24 მარტის“
№ ს-125 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, ,,მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება''. მე-IV უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ^3)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 25 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 27 აპრილს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 27 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 27 აპრილს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

№ დ /03-01 18 მარტი 2015 წ.

აუდიტორმა ნოდარ კვანტალიანმა (სერტიფიკატი №5/496 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს) საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე მოვახდინე 2014 წლის წლიური ანგარიშის, მოგება-ზარალის ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2014 წელში ასოციაციის მიერ მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 316009 ლარი.

მათ შორის: დეპოზიტზე დარიცხული % - 102419 ლარი, მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით - 176882 ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაშთად არსებული სასაქონლო მარაგები — 130 ლარი, ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი 36578 ლარი.

ასოციაციის მიერ გაწეული ხარჯები შეადგენს — 274656 ლარს.

აღნიშნული თანხები გახარჯულია მიზნობრივად. ამორტიზაცია დარიცხულია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით. საბიუჯეტო გადასახადები გადარიცხულია დადგენილ ვადებში.

სამეურნეო წლის შედეგად მიღებულია მოგება 41353 ლარი.

2015 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 147447 ლარს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 2014 წლის აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება შეესაბამება პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებს.

ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის სისწორე დადასტურებულია ჩემს მიერ.

შპს „კაპიტალ ჯგუფის“
დირექტორი: თ.გაგუა

სერტიფიცირებული აუდიტორი: ნ.კვანტალიანი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები
მშვიდობისა და სიცოცხლისათვის
მოგება — ზარალის უწყისი
2014 წელი

№	შემოსავლები	
1	დეპოზიტზე დარიცხული სარგებლიდან მიღებული შემოსავალი	102419
2	მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით	176882
3	სასაქონლო მარაგების ნაშთი	130
4	ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	36578
	სულ შემოსავალი	316009
	ხარჯები	
1	ხელფასი	59728
2	ელ. ნერგია, ბუნებრივი აირი, წყალი	1954
3	დარიცხული ამორტიზაცია	9198
4	მცირე ფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები	0
5	ძირითადი საშ. მიმდინარე შეკეთება	1543
6	საიჯარო ქირა	2200
7	ქონების გადასახადი	1494
8	საქველმოქმედო ხარჯები	190547
9	სხვა ხარჯები	8000
	სულ ხარჯები	274664
	მოგება	41345

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები
მშვიდობისა და სიცოცხლისათვის
ბალანსი
2014 წლის

№	დასახელება	აქტივი	პასივი
1	ძირითადი საშუალებები	274657	
2	ძირითადი საშუალებების ცვეთა		127210
3	მომწოდებელზე გადახდილი ავანისი	192598	
4	ეროვნული ვალუტა ბანკში	8349	
5	მიმდინარე წლის მოგება		41345
6	მოკლევადიანი ფინანსური დაბანდება	764584	
7	ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან სხვადასხვა გადასახადზე	2885	
8	სარეზერვო კაპიტალი		764584
9	საკუთარი რეზერვი		305191
10	მიღებული შემოწირულობა		4743
	სულ ბალანსი	1243073	1243073

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები

მშვიდობისა და სიცოცხლისათვის

ფინანსური ანგარიში
მიღებული შემოსავლებისა
და ხარჯების შესახებ

2014 წლის

№	შემოსავლები	
1	დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები	102419
2	მიღებული შემოწირულობა ფულადი და საქონლის სახით	176882
3	საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგები	130
4	ვალუტის გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	36578
	სულ	316009
	ხარჯები	
1	ხელფასი	59728
2	ელ. ენერგია	416
3	საკომუნიკაციო ხარჯები	2173
4	საწვავის ხარჯი	3589
5	საქველმოქმედო ხარჯები	190547
6	ძირ.საშუალებ მიმდინარე რემონტი	1543
7	მცირე ფასიანი და სწრაფ. ცვეთადი საგნების შეძენა	0
8	გაზეთში გამოქვეყნება	439
10	საიჯარო ქირა	2200
11	დარიცხული ამორტიზაცია	9198
12	ქონების გადასახადი	1494
13	სხვა ხარჯები	3337
		274664
	სულ მოგება	41345

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

ორგანიზაციის მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

2014 წლის 9 იანვარს, ქ. თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში, სადაც 200 უნარშეზღუდული მოზარდი სწავლობს, ასოციაციამ ჩაატარა საქველმოქმედო აქცია: სკოლას გადაეცა სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვილობა (ინვენტარი, აპარატურა, ხელსაწყოები), ბავშვების განსავითარებელი სათამაშოები, თვალსაჩინოება, მეტყველების თერაპიის საშუალებები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა.

2014 წლის 14 იანვარს, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ქალბატონები ეწვივნენ თენგიზ გვასალიას სახელობის ბავშვთა ტუბერკულოზის განყოფილებას: შობა-ახალი წელი მიულოცეს პაციენტებს (10 ბავშვი საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან), მიართვეს საახალწლო ნობათი (ტკბილეული, ხილი, წიგნები, სათამაშოები, ტანსაცმელი).

2014 წლის 8 თებერვალს, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლსათვის“ წარმომადგენლები ეწვივნენ გორის რაიონის სოფლებს (დიცი, ქორდი, არბო). და გადასცეს 52 ოჯახს (28 — დიცი, 18 — ქორდი, 9 — არბო) ცალ-ცალკე დაფასოებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

2014 წლის 15 თებერვალს ჩვენი ასოციაციის წევრები ესტუმრნენ ქარელის რ-ნის სამწევრისის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერს და სხვადასხვა სახის დახმარება გაუწიეს მონაზვნებს.

2014 წლის 8 მარტს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ დარბაზში „სალხინო“ ნანული შევარდნაძის 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ორგანიზატორები იყვნენ შპს „ნეოსტუდია“ და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“. საღამოს ესწრებოდნენ მისი ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, ასოციაციის წევრი ქალბატონები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ღვაწლმოსილი წარმომადგენლები.

2014 წლის 17 მარტს საერთაშორისო ასოციაცია დონორების დახმარებით „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილებას დაეხმარა აპარატურით: ნებულაიზერი, პულსოქსიმეტრი, ჟანგბადის კონცენტრატორი, ასპირატორი. გარდა ამისა, განყოფილებას ასოციაციამ შეუძინა საყოფაცხოვრებო ტექნიკა (ელექტროქურა, კონდინციონერი, ელექტროსასწორი, მაცივარი), თეთრეული და ლოგინი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განთავსდა განყოფილებაში.

2014 წლის 24 მარტს საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ჩაატარა საქველმოქმედო აქცია თელავისა და სიღნაღის რაიონების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასახმარებლად. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გადაეცათ: 1) ქ. თელავის შშმ პირთა პანსიონის „ახალი სიცოცხლის“ 67 ბენეფიციარს (მათ შორის, პანსიონატთან არსებული საბავშვო ბაღის 28 აღსაზრდელს, რომელნიც სათამაშოებითაც დასაჩუქრდნენ); 2) სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის სადღეღამისო სახლის — „ქედელის“ 21 მობინადრეს; 3) სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ხანდაზმულთა სახლის 28 ბენეფიციარს. 4) წნორის დღის ცენტრის „ჯანმრთელი მომავალი“ 14 ბენეფიციარს; 5) სიღნაღის რ-ნის სოფ. ანაგის დღის ცენტრის — „გზა იმედისაკენ“ 9 ბენეფიციარს.

2014 წლის 5 აპრილს ასოციაციის წევრებმა იმერეთში განაახლეს რეგიონული ორგანიზაცია, ჩაატარეს კრება. იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მაია სიმონიძე — სამკერვალო გაერთიანება „იმერეთის“ გენერალური დირექტორი. საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წევრები შეხვდნენ იმერეთის გუბერნატორის მოადგილეს, ქალბატონ სალომე იობიძეს. ისაუბრეს იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლიც მწვავედ დგას რეგიონში. ასოციაციამ გუბერნიას შესთავაზა დახმარება უნარშეზღუდულთა ეტლებით, ბავშვთა კვებით „ჰუმანა“ — სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, საგანმანათლებლო პროგრამებით და სხვა. შემდგომ ასოციაციის წევრებმა გადაინაცვლეს ხონში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში საქველმოქმედო აქციის ჩასატარებლად. 339 პაციენტს გადასცეს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (სულ 485 კგ).

2014 წლის 30 აპრილს ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ განაახლა რაფრაიდერების “ აქტიური ეტლების აქცია უნარშეზღუდული მოქალაქეებისათვის. აქციაში მონაწილეობა მიიღო ასოციაციის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ იზა ვეფხვაძემ, რომელმაც 7 ეტლი ჩაიტანა ხარაგაულის რაიონში. 4 ეტლი ოჯახებში თავად მიუტანა ბენეფიციარებს, 3 კი გადასცა მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოვიდნენ რაიონულ ცენტრში.

2014 წლის 29 მაისს ქალბატონი ირმა სვინტიძე განსაკუთრებული სადილით, ნამცხვრებით გაუმასპინძლდა საერთაშორისო ასოციაციასთან „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ არსებულ უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარებს (ქალბატონი ირმა ყოველი თვის ბოლოს უმასპინძლდება ბენეფიციარებს 1 დღის სადილით.

2014 წლის 31 მაისს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ეწვია დედოფლისწყაროს რაიონს შშმ პირთათვის ეტლების დასარიგებლად. რაიონის ჯანდაცვის და მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ მოწოდებული საბუთების მიხედვით, 7 ადამიანს გადაეცა აქტიური ეტლი (რაფრაიდერი): 2 - ქვემო ქედიდან, 1 - დედოფლისწყაროდან, 1 - ჯაფარიძიდან, 1 - არხილოსკალოდან, 1 - ფიროსმანიდან, 1 - ზემო მაჩხაანიდან.

2014 წლის 1 ივლისს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ოფისში გაიმართა „მრგვალი მაგიდა“ ფსიქიატრიის პრობლემებზე. შეხვედრა-დიალოგის მონაწილენი იყვნენ ცნობილი ფსიქიატრები და საზოგადოების წარმომადგენლები.

2014 წლის 13 ივლისს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ექიმთა მობილური ბრიგადა ესტუმრა ყვარლის რაიონს მოსახლეობის გასინჯვის, გამოკვლევების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით. მობილური ბრიგადა დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სულ გასინჯა 452 პაციენტი. ზოგიერთი პაციენტი ექიმებმა დაიბარეს თბილისის კლინიკებში აუცილებელი გამოკვლევების ჩასატარებლად.

2014 წლის 30 სექტემბერს საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მოიწვია გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამერიკელი ქველმოქმედი პარტნიორების საქართველოში სტუმრობას. სხდომა გაიმართა საინფორმაციო-სამაუწყებლო ცენტრის „რეპორტიორის“ სხდომათა დარბაზში. ამერიკელ სტუმრებსა და გამგეობის წევრებთან ერთად სხდომას ესწრებოდნენ იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, სადაც ამერიკელთა მხარდაჭერით ასოციაციის მიერ განხორციელებულია მრავალი საქველმოქმედო პროექტი.

2014 წლის 26-27 სექტემბერს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ქალბატონები ეწვივნენ მესტიის რაიონს. მუნიციპალიტეტის შენობიდან უნარშეზღუდულთა ოჯახის წევრებმა მიიღეს 13 ეტლი. ბავშვთა კვება „ჰუმანა“ მიიღო 6 ოჯახმა (ვისაც ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი). 3 საბავშვო ბაღს (მულახი, ცხუმარი, ეცერი) გადაეცათ საბავშვო წიგნები, შემეცნებითი ლიტერატურა და ჟურნალები. ასოციაციის წევრები შეხვდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელს კაპიტონ ჟორჟოლიანს, სოციალური სამსახურის სპეციალისტს ეკა გვარლიანს, საბავშვო ბაღების სამმართველოს უფროსს, ისაუბრეს რაიონის მოსახლეობის პრობლემებზე, საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ინვენტარით მათს მომარაგებაზე. დაიგეგმა 2015 წლის ივლისში ექიმთა მობილური ბრიგადის ჩაყვანა მესტიაში სოფლების მოსახლეობის გასინჯვის, გამოკვლევის, მედიკამენტებით მათი მომარაგების მიზნით.

2014 წლის 14 ოქტომბერს ასოციაციის ქალბატონებმა მორიგი საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს ბორჯომში — რაიონის უნარშეზღუდულ მოქალაქეებს (როგორც მოზრდილებს, ისე ბავშვებს) დაურიგეს 12 სტანდარტული ეტლი. აქციაში მონაწილეობდნენ როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ყიფიანი, ასევე საკრებულოს სოციალური სამსახურის თანამშრომლები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

2014 წლის 18 ოქტომბერს თბილისის ბავშვთა ცენტრს, სადაც 49 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი და მოზრდილია გაერთიანებული, გადაეცა 9 ათასი ლარის ღირებულების სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და 26 დასახელების სამედიცინო ინსტრუმენტი. ასოციაციის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე სამედიცინო კაბინეტის გახსნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი დონორების დახმარებით.

28 ოქტომბერს, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე, ასოციაციის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი თეონა დევდარიანი შპს „ჰუმანა -ჯორჯიას“ მესვეურებთან ერთად ეწვივნენ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრს ა/წ სექტემბერში დადებული ერთწლიანი ხელშეკრულების თანახმად, ასოციაციამ გადასცა ბავშვებს „ჰუმანას“ პროდუქცია, „ჰაგის“ ჰიგიენური საშუალებები. ასოციაციის თავმჯდომარემ მაია კვეზერელი-კოპაძემ იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრში მოინახულა პატარა გურჯი სირაძე და გადასცა „ჰუმანას“ პროდუქტები და კოსმეტიკური საშუალებები. შემდეგ ასოციაციის ოფისიდან მას გადაეცა ბავშვის ეტლი, საწოლი, საბნები და საყოფაცხოვრებო ნივთები.

5-6 ნოემბერს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ვორკშოფი, რომელშიც მონაწილეობდნენ ტბ ევროკოალიციის დელეგაცია, საქართველოს ტბ კოალიციის წევრები, „პაციენტთა კავშირი“, „საქართველოს წითელი ჯვრის“ რეგიონული ოფისების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე და ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი თეონა დევდარიანი.

2014 წლის 17 ნოემბერს საზეიმოდ აღინიშნა დღენაკლულ ბავშვთა საერთაშორისო დღე თბილისის „ივენთ ჰოლში“. ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიიღო მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში. მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი შშმპ კონტინგენტი დაესწრო კონცერტს და 50 დღენაკლული ბავშვი და მათი ოჯახის წევრები ასოციაციამ დაასაჩუქრა წიგნებით.

2014 წლის 22 ნოემბერს ასოციაციის ქალბატონები ეწვივნენ ახალციხეს. მათ სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის შენობიდან 13 ბენეფიციარს გადასცეს სტანდარტული ეტლები (ახალციხე, ნინოწმინდა). შემდეგ გადაინაცვლეს ადიგენში, სადაც ასევე დააკმაყოფილეს 6 ბენეფიციარი ეტლით. იმავე დღეს ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის საერთო კრება და რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მესხეთის უნივერსიტეტის სრული პროფესორი თინა გელაშვილი.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პირველივე დღეებიდან შეუერთდა გაეროს მიერ გამოცხადე ბულ საერთაშორისო თექვსმეტდღიან აქციას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ (25 ნოემბერი-10 დეკემბერი). 25 ნოემბერს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ შეუერთდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საერთო სახალხო მოძრაობას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვისათვის. იმავე დღეს ასოციაციამ მიიღო მონაწილეობა მაღალი დონის შეხვედრაში სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ის სხდომათა დარბაზში ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

2014 წლის 19 დეკემბერს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წევრები ეწვივნენ „კავშირს ადამიანებისათვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“. ასოციაციამ გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გამოფენა-გაყიდვაში, სადაც კავშირის წევრთა მიერ დამზადებული პროდუქცია იყო წარმოდგენილი. ქალბატონებმა შეიძინეს წიგნები, სხვადასხვა ნივთი და ამით შეეწივნენ სოც. თერაპიის სახლს (კავშირის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია). ამავე დროს ასოციაციამ ერთ-ერთ შშმპ გადასცა სტანდარტული ეტლი.

2014 წლის 23 დეკემბერს საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ახალგაზრდული ფრთის წევრები ეწვივნენ სოციალურად დაუცველ ნოზაძეების ოჯახს, რომელთაც 3 ტყუპი ჰყავთ. ახალგაზრდებმა საკუთარი სახსრებით შეუძინეს პატარებს საახალწლო საჩუქრები. ასოციაციამ კი გადასცა ბავშვების ტანსაცმელი და „ჰუმანას“ პროდუქცია.

2014 წლის 29 დეკემბერს ასოციაციამ უმწეოთა სასადილოში წინასაახალწლო ზეიმი გაუმართა ბენეფიციარებს, მიულოცა მათ დამდეგი შობა-ახალი წელი და გადასცა ხილი, ტკბილეული. კვლავ გრძელდება 3 ხანდაზმული პენსიონერის ფულადი დახმარება.

ასოციაციის თავმჯდომარე
მაია კვეზერელი-კოპაძე.

დედამიწის ზურგზე



ყირგიზეთში გვთავაზობენ ჩამოართვან რუსულ ენას ოფიციალურის სტატუსი

ეს ინიციატივა გახმიანდა კანონმდებლობაში სახელმწიფო ენის როლის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის დროს. ჩინოვნიკების სიტყვებით, ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, გადაიყვანონ ქვეყანაში საქმის წარმოება ყირგიზულ ენაზე, ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებები კვლავ იყენებენ რუსულს კონსტიტუციის ნორმაზე მითითებით.

უმაღლეს რადაში დააყენეს საკითხი, უარი თქვან გამარჯვების დღის დღესასწაულზე 9 მაისს

სიახლის ინიციატორი გახდა უკრაინის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში უკრაინელები დაკარგავენ უქმე დღეს.

აშშ მზად არის, გააგრძელოს დიალოგი რუსეთთან „სარაკეტო“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შეიარაღებასა და საერთაშორისო უშიშროებაზე კონტროლის საკითხებში როუზ ჰოტემიულერმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს გამონახოს იმ საკითხების მისაღები გადაწყვეტილება, რომლებიც დაისვა რუსეთის მთავრობასთან კონსულტაციების დროს ბირთვულ სფეროსთან დაკავშირებით. „ჩვენ ვაგრძელებთ

დისკუსიას ამ თემაზე“, — ხაზგასმით აღნიშნა ქალბატონმა.

აშშ-ს კონგრესმა მოუწოდა ობამას, დაიწყოს იარაღის მიწოდება კიევისთვის

კანონმდებლებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც საუბარია იმის აუცილებლობაზე, რომ დაიწყოს საბრძოლო იარაღის მიწოდება უკრაინის ხელისუფლებისთვის. დოკუმენტს მხარი 348 კანონმდებელმა დაუჭირა, 48 გამოვიდა წინააღმდეგ. ინიციატივას მხარი დაუჭირეს როგორც რესპუბლიკელებმა, ისე დემოკრატებმა.

◎ ალიან-ჩალიანი

სავიზო რეგულაციები მარტივდება

მთავრობამ უცხოელებზე საქართველოს ვიზების გაცემის პროცედურებისა და, ზოგადად, სავიზო რეგულაციების გამარტივების გადაწყვეტილება მიიღო.

მთელ რიგ ახალ საკანონმდებლო ნორმებში, რომელიც ამ მიმართულებით პარლამენტის მიერ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ფარგლებში იქნა მიღებული და 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ცვლილებები შედის.

შესაბამისი კანონპროექტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს ავტორობით და მთავრობის ინიციატივით, პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა.

პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი სიახლეა, რომ საქართველოს ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოების ჩამონათვალი იზრდება და დგინდება შესაძლებლობა, ვიზის გაცემაზე გადაწყვეტილება უშუალოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღოს. შესაბამისად, სადღეისოდ საქართველოს ვიზის გამცემ ორგანოებს — საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობას და საკონსულო დაწესებულებას, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემისას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ორგანოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ემატება.

გარდა ამისა, საქართველოს ვიზის გამცემ ორგანოებთან დაკავშირებით პარლამენტში წარდგენილი პროექტი ითვალისწინებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, იმ უცხოელებისათვის, რომელთა მოქალაქეობის ქვეყანაშიც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არა აქვს, შესაძლებელია საქართველოს ვიზის გაცემა ან საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება იმ მესამე სახელმწიფოს მიენდოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსთვის.

ამასთან, საქართველოს ვიზის გამარტივებულად გაცემის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ელექტრონული ვიზების გაცემის უფლებამოსილება ენიჭება. კანონპროექტით დგინდება, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე ელექტრონული ვიზა გასცეს, თუ ელექტრონული ვიზის მისაღებად საჭირო სავიზო განაცხადის წარდგენა სამინისტროს სპეციალური ვებვერდის — „ელექტრონული ვიზის პორტალის“ მეშვეობით მოხდება.

კანონპროექტით ახლებურად განიმარტება „მოწვევის“ ცნებაც. კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, მოწვევაზე უფლებამოსილ პირებად ითვლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. პარლამენტში წარდგენილი პროექტით კი, მოწვევის ცნება უფრო ფართოდ განისაზღვრება და მოიცავს წერილობითი შუამდგომლობის შემცველ ნებისმიერ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც უცხოელის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი დასტურდება.

კანონპროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა.

◎ ფეხბურთი

მოიყვანს გაზაფხულს ცხადაძე?

დღეს 21 საათზე ვაკის „მიხეილ მესხის“ სტადიონზე დაიწყება საქართველოსა და მალტის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი, რომლის პირდაპირი ტელერეპორტაჟსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს.

სეზონის სასტარტო შეხვედრაში „ჯვაროსანთა“ ახალი თავკაცის კახი ცხადაძის დებიუტიც შედგება, ხოლო ოფიციალური საბრძოლო ნათლობა მას კვირას 20 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ ელის, სადაც „ევრო-2016“-ის შესარჩევი რაუნდის პროგრამით თვით მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონს გერმანიას ვუმასპინძლებთ.

ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ შეკრებამდე ჩვენი გუნდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო და დალოცა, ხოლო 75-წუთიანი პირველი ვარჯიშის დასრულების შემდეგ ცხადაძემ განაცხადა:

„მართალია, მოსამზადებლად მცირე დრო გვაქვს, მაგრამ მოთამაშეთა კვალიფიკაცია მაფიქრებინებს, რომ ისინი მალე აითვისებენ ჩემს მოთხოვნებს. ბიჭები პროფესიონალები არიან და მჯერა, სხვადასხვა ტაქტიკურ სქემას ალღოს მალე აუღებენ. ჩვენი სათამაშო სტილი, მეტოქეთა თავისებურებების და კლასის გათვალისწინებით, განსხვავებული იქნება და ჩვენი მიზანია, ეს მაყურებლამდე მივიტანოთ.

რაც შეეხება კუნძულელებთან სპარინგს, აქცენტს პრესინგზე, ბურთის კონტროლსა და ინიციატივის დაუფლებაზე გავაკეთებთ, ბუნდესნაკრებთან კი, ბუნებრივია, ტაქტიკაში კორექტივებს შევიტანთ და შევეცდებით, კიდევ უფრო მრავალფეროვანი თამაში ვაჩვენოთ“.

საქართველოს ნაკრები

მეკარეები: ლორია, რევიშვილი, ალავიძე.

მცველები: ლობჟანიძე, კაშია, ამისულაშვილი, კვირკველია, დვალი, ნავალოვსკი, კაკუბავა.

ნახევარმცველები: კანკავა, ოქრიაშვილი, ყაზაიშვილი, ყენია, ძალამიძე, ანანიძე, კობახიძე, დაუშვილი, ჭანტურია, მახარაძე.

თავდამსხმელები: მჭედლიძე, ცხადაძე, ვაწაძე.

დავძენთ, რომ სამშობლოში გამომგზავრების წინ „ემპოლის“ ქართველმა ლეგიონერმა ლევან მჭედლიძემ იტალიის „სერია-ა“-ს რეკორდი დაამყარა. იგი „სასუოლოსთან“ შინ 3:1 მოგებულ მატჩში მოედანზე 58-ე წუთზე შევიდა და 13,2 წამში აპენინებზე უსწრაფესი გოლი გაიტანა.

რეზერვისტთა შორის უწინდელი მიღწევა „ფიორენტინას“ სნაიპერ პრედრაგ მიატოვიჩს ეკუთვნოდა, რომელმაც 2000-2001 წლების სეზონში „ბოლონიასთან“ შეხვედრაში 14,28 წამში გამოიჩინა თავი.

გიორგი ზოთაძე

◎ რეიტინგი

როქი იტალიასთან

იმ დღეს, როდესაც საქართველოს მორაგბე ვაჟთა ეროვნულმა ნაკრებმა ბუქარესტში „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ ბოლო ტურის მატჩში რუმინეთს სძლია და ერთდროულად ორი თასი დაიმსახურა, უელსმა რომში იტალიის ნაკრები გაანადგურა – 61:20, რის გამოც მასპინძლებმა 0.17 სარეიტინგო ქულა დაკარგეს. შედეგად „ბორჯღალოსანთა“ მონაგარმა (0.89 ქულა) საქართველოს ნაკრები მე-14 ადგილზე აღაზევა, აპენინელები კი რეიტინგის დაარსებიდან პირველად ჩამოქვეითდნენ მე-15 პოზიციაზე. სადღეისოდ მსოფლიო კლასიფიკაციაში 16 საუკეთესო გუნდის მაჩვენებლები ასეთია: **1. ახალი ზელანდია (93,70 ქულა), 2. სამხრეთ აფრიკა (88,23), 3. ირლანდია (85,76), 4. ინგლისი (85,40), 5. უელსი (84,07), 6. ავსტრალია (82,95), 7. საფრანგეთი (79,74), 8. არგენტინა (78,23), 9. სამოა (75,39), 10. შოტლანდია (74,79), 11. იაპონია (74,70), 12. ფიჯი (74,57), 13. ტონგა (74,12), 14. საქართველო (72,16), 15. იტალია (71,85), 16. აშშ (67,61).**

თამაზ პატარაია

სურათზე: „ბორჯღალოსნები“ რუმინაეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ.

◎ ცურვა

ევროპულ კვარცხლბეკს გაუშინაურდნენ

მარცხნიდან – პეტრა ბაროშაი, ბარბარა ტომანოვა, მერი მუმლაძე

თორმეტი ქართველი ახალგაზრდა მოცურავე მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც სლოვაკურმა ჟილინამ უმასპინძლა. შვიდი ქვეყნის (ავსტრია, ჩეხეთი, საქართველო, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია, სლოვაკეთი) 500-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა სამ ასაკში (11-12, 13-14 და 15-წლიანებში) მედლებისთვის. გიორგი აბზიანიძისა და ნინო გოგინაშვილის შეგირდებმა ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 14-წლამდელებში რუსუდან გოგინაშვილმა ბატერფლაით 100 მეტრი 1.08,08-ში დაფარა, რამაც ვერცხლის მედალი მოუტანა. ქართველ მოცურავეს პეტრა ბაროშაიმ (უნგრეთი, 1.04,12) გაუსწრო. რუსუდანმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც იყოჩაღა – მესამე ადგილი (5.24,90) დაიკავა. პირველ-მეორე ადგილები სლოვაკებმა – მიროსლავა ზაბორსკამ (5.14,31) და ნიკოლეტა ტრნინკოვამ (5.23,09) გაიყვეს. გოგინაშვილი 50 მეტრზე ბატერფლაით (31,22) მეოთხე იყო და მესამეადგილოსან მასპინძელს – თამარა პრიტოჩკას 0,08 წამით ჩამორჩა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჩვენებური მე-9 ადგილით (2.36,16) დაკმაყოფილდა.

მარცხნიდან – ნიკოლეტა ტრნინკოვა, მიროსლავა ზაბორსკა, რუსუდან გოგინაშვილი

ქართველთაგან კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მერი მუმლაძემ დაიმსახურა – ისიც 14-წლამდელებში თავისუფალი ყაიდით 100 მეტრზე (1.02,55) მესამე იყო. აქ პირველ-მეორე ადგილებზე ბარბარა ტომანოვა (სლოვაკეთი, 59.17) და პეტრა ბაროშაი (უნგრეთი, 59,53) გავიდნენ. მუმლაძე ამავე ყაიდით 50 მეტრზე მეხუთე (28,66), 200 მეტრზე კი (2.19,91) მეშვიდე ადგილს დაყაბულდა. გოგინაშვილსა და მუმლაძეს თანატოლთა ევროტურნირებზე სხვა დროსაც მოუპოვებიათ მედლები, რაც ორმაგად სასიამოვნოა, რადგან ეს გოგონები თანაგუნდელებთან ერთად 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან. ამ შეჯიბრებას ივლისის მიწურულს თბილისი უმასპინძლებს.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

შვიდქალას ელადური თასი

რაც დრო გადის, ქალთა რაგბი სულ უფრო პოპულარული ხდება, მეტი შეჯიბრებები იმართება და ჩვენი მანდილოსნებიც ცდილობენ, საერთო ფერხულს არ ჩამორჩნენ. განსაკუთრებით შვიდქალა რაგბი სარგებლობს სიმპათიებით. ამას წინათ ჩვენმა გოგონებმა ათენის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ისინი მეტოქეობას უწევდნენ საბერძნეთის, ისრაელის და მალტის ქალთა ნაკრებ გუნდებს, ასევე, შვედურ კლუბ Mama's Girls-ს, რომელიც შვედი, იტალიელი და ესპანელი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენმა გუნდმა მალტა 34:0 დაამარცხა, მერე ისრაელთან 10:12

წააგო, მასპინძლებს 36:0 სძლია, შვედურ კლუბს კი დაუზავდა – 5:5. მეორე დღეს ნახევარფინალში ჯაბა მალაღურაძის შეგირდებმა Mama's Girls-ი დაჯაბნეს – 26:5, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ისრაელის ნაკრებს დაუპირისპირდნენ და რევანში აიღეს – 7:5. ამ გამარჯვებით ჩვენმა გოგონებმა „ათენის თასი დაისაკუთრეს. წლეულს საქართველოს 7-ქალა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში იასპარეზებს – 13-14 ივნისს კაუნასში რუმინეთს, შვეიცარიასა და ნორვეგიას შეხვდება. ამ ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად გენტის (ბელგია, 3-6 აპრილი), ნანსისა (საფრანგეთი, 16-17 მაისი) და ამსტერდამის (ჰოლანდია, 23-24 მაისი) საერთაშორისო ტურნირებშიც მოსინჯავს ძალებს.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს 7-ქალა მორაგბეთა ნაკრები.

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

ერთი კვირის წინანდელი შედეგების გათვალისწინებით ქალთა და ვაჟთა საერთაშორისო საჩოგბურთო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. კლასიფიკაციაში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

ქალები. 219 (222). სოფიო შაფათავა (223), 327 (319). ეკატერინე გორგოძე (110), 401 (369). სოფიო ქვაცაბაია (80), 520 (523). ოქსანა კალაშნიკოვა (45), 702 (702). მარიამ ბოლქვაძე (23), 858 (854). მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი (14), 1117 (1127). თამარ კუტუბიძე (5), 1211 (1217). მარიამ ჭალაგანიძე (3).



წყვილები. 75 (76). კალაშნიკოვა (1050). 223 (227). შაფათავა (249), 271 (270). გორგოძე (201), 396 (394). ქვაცაბაია (112), 856 (856). ბოლქვაძე (21), 1200 (1194). ჭალაგანიძე (6).

ვაჟები. 180 (183). ნიკოლოზ ბასილაშვილი (280), 571 (362). ალექსანდრე მეტრეველი (54), 870 (877). გიორგი ცივაძე (18), 1293 (1222). გიორგი ჯავახიშვილი (5), 1450 (1438). ალექსანდრე ბაქში (3), 1730 (1724). ირაკლი მეტრეველი (1).

ლექსო ცინცაძე

◎ უეფაში

მთავარი სიახლე: ევროპის ლიგის - ჩემპიონთა ლიგაში

უეფას აღმასკომმა ევროტურნირების ჩატარების ახალი რეგლამენტი დაამტკიცა, რომლის თანახმადაც 2015-1016 წლების სეზონიდან ევროპის ლიგის გამარჯვებული გუნდი ავტომატურად გადაერთვება ჩემპიონთა ლიგის მომდევნო გათამაშებაში და ასპარეზობას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.

სიახლეა ისიც, რომ გაიზრდება მონაწილეთა ბიუჯეტებიც. კერძოდ, ის კლუბები, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, მილიარდ 125 მილიონ ევროს მიიღებენ, ხოლო ევროლიგელები – 380 მილიონს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფულადი გზავნილები

შორეული მხარდაჭერის იმედები

ერთიანად დაცარიელებული აგრარული ბაზრები და საყოფაცხოვრებო საქონლის ბაზრობები, უამრავი ახლადგამოკეტილი წვრილ-წვრილი სასურსათო „მარკეტი“ თუ მეორადი ტანსაცმლის მაღაზია – ეს იმის მცირედი ჩამონათვალია, რაც მოსახლეობას ბოლო თვეების მანძილზე ლარის გაუფასურებამ მოუტანა. დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი შემცირება, რასაც, ექსპერტთა მტკიცებით, არაერთი მიზეზი აქვს, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი განსჯის საგანი კიდევ კარგა ხნის მანძილზე იქნება, ამდენად მათს ცალ-ცალკე განხილვას, შესაძლებლობისდაგვარად, თანამიმდევრულად ვეცდებით.

ჩვენში ბოლოდროინდელი „სავალუტო შიმშილის“ ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, უცხოური ინვესტიციებისა და გრანტების ნაკადის შესუსტებასთან ერთად, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობის საგრძნობი შემცირებაა, რაც საერთო სოციალურ ფონზე მკვეთრად უარყოფითად აისახა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, **წლეულს თებერვალში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზვანილების მთლიანი თანხა დაახლოებით 22 პროცენტით შემცირდა.** ყველაზე საგანგაშო კი ამაში ის გარემოებაა, რომ რუსეთში მიმდინარე მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების პირობებში, რომელზეც საქართველოში ფულადი გზავნილების უმეტესი ნაწილი მოდის, კლების ტენდენციას ახლო მომავლაში შეცვლის პერსპექტივა არ უჩანს.

საქმე ისაა, რომ უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების ყოველთვიური ოდენობის შემცირება ჯერ კიდევ შარშან, წლის მიწურულიდან დაიწყო და მას შემდეგ ეს მეტად არასახარბიელო ტენდენცია მდგრადობას ინარჩუნებს. კერძოდ, წლეულს იანვარში ამ მაჩვენებელმა 23 მილიონით იკლო და 75,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამ მხრივ განსაკუთრებითაა აღსანიშნავი რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ეკონომიკური გარემოებები და პრობლემები, ვინაიდან სწორედ იქ იმყოფება თანამედროვე ქართველ ემიგრანტთა უდიდესი ნაწილი და, შესაბამისად, კერძო ფულადი გზავნილების დაახლოებით ნახევარი(!) წლების მანძილზე სწორედ ამ ქვეყანაზე მოდიოდა.

როცა ლაპარაკი ჩვენი მოსახლეობისა და ეროვნული ეკონომიკისთვის ასეთ მნიშვნელოვან ქვეყანაზეა, უპრიანია ისიც ითქვას, რომ **გზავნილების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, ჩვენში მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9 პროცენტით შემცირებას ნიშნავს,** რაც, დაგვეთანხმებით, უმძიმესი დარტყმაა. ერთი იმედი, თითქოს, ის იყო, რომ ამ უარყოფით ზეგავლენას ნედლი ნავთობისა და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების კლება შეარბილებდა, მაგრამ, როგოც ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ მასალაში აღვნიშნავდით, ქვეყანაში ნავთობის იმპორტიორ მონოპოლისტთა ქმედებების გამოისობით ამის ეფექტი გაცილებით მცირეა.

მთლიანად კი თებერვალში საქართველოს მოქალაქეებმა 82 მილიონი დოლარი მიიღეს, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე 22,7 მილიონი ლარით ნაკლებია. ფულადი გზავნილების თითქმის მთელი მოცულობა (დაახლოებით 92 პროცენტი) თორმეტ ქვეყანაზე მოდის, სადაც დროებით თუ მუდმივად საცხოვრებლად ათასობით ჩვენი თანამემამულეა გადასული და საიდანაც გადმორიცხული სახსრების ოდენობამ, სულ მცირე, ერთ მილიონ დოლარს გადააჭარბა.

გზავნილთა მოცულობის მიხედვით ლიდერთა შორის არიან **რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ისრაელი, ესპანეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო და ყაზახეთი.** მათ შორის, თებერვალში რუსეთიდან 28,2 მილიონი დოლარი გადმოგზავნა (მთლიანი მოცულობის 34 პროცენტი, თუმცა კი შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებელი 48 პროცენტს ჭარბობდა!). **საბერძნეთიდან ჩვენმა თანამოქალაქეებმა თებერვალში 13,7 მილიონი დოლარი მიიღეს, იტალიიდან – 9 მილიონი დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – 7,2 მილიონი დოლარი, თურქეთიდან – 5,8 მილიონი დოლარი.**

აღსანიშნავია, რომ ქვეყნიდან სავალუტო სახსრების არა მარტო საგარეო ვალის მომსახურებასა და იმპორტის შემოტანაზე გადის – საქართველოდან კერძო გზავნილების მოცულობა უცხოეთში თებერვალში, შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2 მილიონით გაიზარდა და 14,6 მილიონი დოლარი შეადგინა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საექსპერტო შეფასებით, წლეულს საზღვარგარეთიდან საქართველოში კერძო ფულადი გზავნილების მაჩვენებელი, შესაძლოა, შარშანდელთან შედარებით 40 პროცენტითაც კი შემცირდეს, რაც მოსახლეობაზეც და ქვეყნის ფინანსურ პოტენციალზეც მეტად უარყოფითად აისახება.

ნინო ალექსანდრია

ეპიტაფია

ჩვენი ვალიკო გოგოლაშვილი



მძიმე გამოდგა ჩვენთვის წლევანდელი წელი – ერთმანეთის მიყოლებით გადავიდნენ ზეციურ საქართველოში ჩვენი კოლეგები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტები, ცნობილი პუბლიცისტები **ელგუჯა ლებანიძე, ანზორ ბასილაია, ვალიკო სიმონიშვილი, ბონდო გულიაშვილი და ვალერიან გოგოლაშვილი**. დიახ, ბატონი ვალერიანის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, შესანიშნავი მწერლის, პედაგოგის, ღირსების ორდენოსნის, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატის (1975 წ.), ყველასათვის საყვარელი, თავმდაბალი ადამიანის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა.

ბატონი ვალერიანი (ვალიკო) 1959 წლიდან, იმ დღიდან, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, დაუღალავად იღვწოდა და ემსახურებოდა საყვარელ პროფესიას. თავისი ენციკლოპედიური ნიჭის წყალობით, კახური (იგი ხომ სიღნაღის რაიონიდან გახლდათ) შეუპოვრობითა და თავმდაბლობით გარშემომყოფთა სიყვარულს იმსახურებდა. მის კოლეგათა შორის მრავლად იყვნენ მისივე მოსწავლეები, ეამაყებოდა თავისი აღზრდილების მიღწევები და ჩვეული ღიმილით აძლევდა რჩევა-დარიგებებს.

30 წელი იმუშავა (1960-1990 წ.წ.) გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში, პასუხისმგებელი მდივნობიდან გაზეთის მთავარ რედაქტორობამდე. 1970-94 წლებში პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ბატონი ვალერიანი შეიძლება ერთ-ერთ პირველ ჟურნალისტად ჩაითვალოს ჟურნალისტური გამოძიების, როგორც ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის ფუძემდებლად. საქვეყნო აღიარება მოუტანეს წერილების ციკლმა **„ნია გრუზინსკაიას ცხელი ზამთარი“**.

წლების მანძილზე იყო შსს-ს საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ოთხმოცდაათიან წლებში ზედიზედ ოთხჯერ დაჯილდოვდა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრემიით – **„ექსტრემალურ სიტუაციებში მამაცობისა და პროფესიონალიზმის გამოჩენისათვის“**.

სწორედ ამგვარი კოლეგა, მეგობარი, აღმზრდელი და თავისი საქმის პროფესიონალი გამოგვაკლდა. გამოგვაკლდა ფიზიკურად, თორემ ვალერიან გოგოლაშვილის დარი ადამიანები მუდამ ცოცხლობენ. დღეს კვლავ შეიკრიბებიან მის საფლავთან ახლობლები, მისი აღზრდილები, კოლეგები და კიდევ ერთხელ მოიგონებენ ნიჭიერ ჟურნალისტს.

კოლეგები და მეგობრები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“.

შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობა და კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ბატონ სერგო ტოპრაკაშვილს უსაყვარლესი და უსათნოესი დედის, ქალბატონი

მარგალიტას

გარდაცვალების გამო.

◎ რეიტინგი

საქართველო ნაკლებად ბედნიერ ქვეყნებს შორის დასახელდა

საქართველო იმ ნაკლებად ბედნიერ ქვეყნებს შორის დასახელდა, სადაც ყოველდღიურად ძალიან ცოტა ადამიანს აქვს პოზიტიური ემოციები.

ბედნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით გასულ კვირას – 20 მარტს აღინიშნა, საერთაშორისო ორგანიზაცია Gullup-მა მსოფლიოს ყველაზე მეტად და ნაკლებად ბედნიერი ქვეყნები დაასახელა. Gullup-ის პოზიტიური ინდექსის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ხალხი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ცხოვრობს.

Gullup-მა მონაცემები 2014 წელს მსოფლიოს 143 ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა. მსოფლიოს მასშტაბით გამოკითხვაში მონაწილეთა 70%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ ისინი დღის განმავლობაში განიცდიან პოზიტიურ ემოციებს, სიხარულს და ხშირად იცინიან. 50%-მა კი განაცხადა, რომ გამოკითხვის წინა დღემ მათთვის საინტერესოდ ჩაიარა, რადგან ისწავლეს ან გააკეთეს რაღაც ახალი და საინტერესო.

გამოკითხვაში მონაწილეებს პასუხი უნდა გაეცათ ხუთ შეკითხვაზე – კარგად დაისვენეთ თუ არა გუშინ? ხომ არ იგრძენით თავი შეურაცხყოფილად? ბევრი იცინეთ თუ არა გუშინ? გააკეთეთ/ისწავლეთ თუ არა რაიმე საინტერესო? ისიამოვნეთ თუ არა?

Gullup-ის მონაცემებით, საქართველოში პოზიტიურობის ინდექსმა 55% შეადგინა, ყველაზე მეტად ბედნიერი ქვეყნების სათავეში მყოფ პარაგვაიში კი მოსახლეობის პოზიტიურობის მაჩვენებელი 89%-ს შეადგენს.

ყველაზე ბედნიერი ქვეყნები

პარაგვაი
კოლუმბია
ეკვადორი
გვატემალა
ჰონდურასი
პანამა
ვენესუელა
კოსტა რიკა
ელ სალვადორი
ნიკარაგუა

ნაკლებად ბედნიერი ქვეყნები

ავღანეთი
ნეპალი
ლიტვა
საქართველო
ბოსნია და ჰერცოგოვინა
თურქეთი
სერბეთი
ტუნისი
სუდანი

◎ კრიმინალი

ქართველები თამაშებს მოლდოვაშიც აწყობდნენ

მოლდოვის საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, თამაშების ჩაწყობის ბრალდებით დაკავებულ სინგაპურელებს შუამავლობას ქართველი ფეხურთელები უწევდნენ. როგორც მოლდოვის საგამოძიებო სამსახურის უფროსმა ბოგდან ზუმბრიანუმ განაცხადა, ქართველები ცნობილი ფეხბურთელები არ არიან.

„თურმე, არსებობს მტკიცებულება, რომ სინგაპურის მოქალაქეები ამას მოლდოვაში წლების განმავლობაში სჩადიოდნენ. თქვენთვის კი საინტერესო ის უნდა იყოს, რომ აზიელებს მოლდოვაში შუამავლობას სხვები უწევდნენ, მათ შორის – ორი ქართველი ფეხბურთელი. ისინი საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელები არ არიან, რამდენიმე წლის წინათ „შერიფში“ გამოდიოდნენ. თუმცა, გვარები არ დააკონკრეტა, ოღონდ მიანიშნა, რომ ეს ფეხბურთელები ახლა მოლდოვაში აღარ თამაშობენ, საქართველოში იმყოფებიან, მაგრამ კავშირების წყალობით, მატჩების სასურველი შედეგებით დასრულებას ახერხებდნენ“, – ამბობს ჟურნალისტის ინფორმაციით, მოლდოვის საგამოძიებო სამსახურის უფროსი.

მოლდოვის ჩემპიონატის 23-ე ტურში, კიშინიოვის „დაჩიამ“ ტირასპოლის „დინამო-ავტო“ 6:2 დაამარცხა. მატჩის შემდეგ სტადიონზე სპეცრაზმი შევიდა და 12 ადამიანი დააკავა: „დინამო-ავტოს“ ფეხბურთელები, მწვრთნელი და ერთ-ერთი კლუბის მმართველები.

ისინი ეჭვმიტანილები არიან სპორტული შედეგებით მანიპულირებაში, ქრთამის აღებასა და ფულის გათეთრებაში. გარდა ამისა, ჩხრეკა „დაჩიას“ ვიცე-პრეზიდენტის, რუსლან კმიტას სახლშიც ჩაატარეს.

კიშინიოვის სტადიონზე ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ მალევე სინგაპურის ორი მოქალაქე დააკავეს. ისინი მატჩის სასურველი ანგარიშით დასრულებას ცდილობდნენ. სინგაპურელებს ბრალი უკვე წაუყენეს და 30-დღიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. გაირკვა, რომ კორუფციასთან ბრძოლის ცენტრს მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციამ მიმართა და გამოძიების დაწყება სთხოვა. მოტივი შემდეგია: 30 მარტს ერთმანეთს ხვდებიან მოლდოვისა და ბელგიის ახალგაზრდული ნაკრებები. სინგაპურელები მოლდოვის ფედერაციის თანამშრომელს დაუკავშირდნენ და 50 ათასი ევროს საფასურად სთხოვეს, მოლდოველებს მატჩი სამბურთიანი სხვაობით წაეგოთ.

◎ დღესასწაული

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის დღე



25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ავტოკეფალიის აღდგენის დღეს.

...ცნობილია, რომ არაბერძნულ მართლმადიდებლური ეკლესიებიდან ყველაზე ადრე დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ. ამჟამად მსოფლიოში 15 ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიაა: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, საბერძნეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის და ამერიკის...

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გადმოცემით, ქრისტიანობა უქადაგია ქრისტეს რამდენიმე მოციქულს: ანდრია პირველწოდებულს, სვიმეონ კანანელს, მატათასა და ბართლომეს, ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრება და საეკლესიო იერარქიის დაფუძნება კი უკავშირდება მოციქულთა სწორ წმინდა ნინოს სამქადაგებლო მოღვაწეობას. I საეპიკოპოსო კათედრაც წმინდა ქალაქ მცხეთაში დაარსდა... მხოლოდ 1917 წლის მარტში აღადგინა ქართულმა სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II მცდელობით 1990 წელს, მარტის თვეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ.

* * *

25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულს, რომელიც მეფე თამარის შვილთაშვილი იყო... საქართველოს კეთილდღეობისთვის იყენებდა იგი შედარებით მშვიდ პერიოდს, ხოლო ქვეყნის და ერის გადარსარჩენად აშკარა სიკვდილზე მიდიოდა.

P. S. მეფის მოსახელე ყველა დემეტრეს ვულოცავთ დემეტრეობას!

გიული ლიპარტია

◎ დედაქალაქი

მოქალაქევ, თქვენი ბილეთი!..

საქალაქო ტრანსპორტით თბილისელთა მომსახურებაში სიახლეა: საქმე არ ეხება საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ბოლო გაჩერებებზე მძღოლთა მოსასვენებლების მოწყობას, არც ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების სვლაგეზების ერთმანეთს ისე დაცილებას ეხება, რომ ერთმანეთს არ „ასხდნენ“, არც „წამებათა საკნების“ მსგავსი „ბოგდანის“ მარკის ავტობუსების შეცვლას...

ამ ჯერზე თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის „უმნიშვნელოვანესი“ საკითხი გადაწყდა: უბილეთო მგზავრების რისხვა კონტროლიორები თანამედროვე ატრიბუტით შეაიარაღეს, რათა მუქთაზე კაციშვილმა ვერ იაროს, ხოლო, როცა გამოიჭერენ, ჯარიმას თავი ვერ აარიდოს და სადავოც რომ არაფერი ჰქონდეს, ყველაფერს ... ზედამხედველის მხარზე ვიდეოკამერა დააფიქსირებს და, რამე რომ იყოს, სადაც ჯერ არს უტყუარ არგუმენტადაც გამოდგება.

თვალის ერთი გადავლებით, ეს სიახლე თითქოსდა, დროის სულისკვეთების ნაკადშია ორგანულად ჩამჯდარი და საზოგადოებრივი დისციპლინის გამაგრებაზეა გათვლილი, რასაც ძნელია არ დაეთანხმო. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური ყველა მოქალაქემ უპირობოდ რომ უნდა გადაიხადოს, ამას ალტერნატივა არა აქვს. ყურადღების გამახვილება კი რამდენიმე სხვა ასპექტზე გვინდა.

პირველი ისაა, რომ, როცა მასალის მომზადებისას ახლებურად აღჭურვილი კონტროლიორების გადაღება ვცადეთ, ერთიანად ყველა მათგანი სასტიკ უარზე იყო – ჩვენი უზენაესი ხელმძღვანელობის წერილობითი(?!!) ნებართვის გარეშე ამის ნებას ვერაფრით დაგრთავთო! ჰოდა, ცოდვა გამხელილი ჯობს – პატივცემული წესრიგის დამცველთა ეს მოთხოვნა უგულებელვყავით.

მეორე გარემოება, რომელმაც წინამდებარე მასალა „სხვა განზომილებაში“ გადაგვაყვანინა, იმას უკავშირდება, რომ, მართალია, არის უბილეთოდ მგზავრობის შემთხვევები, თანაც, საკმაოდ ბლომად, მაგრამ თავად კონტროლიორთა ქცევა ხშირად არა თუ რიგითი მოსამსახურის ქცევების ნორმებს არ შეესაბამება, აშკარად ანტისოციალურ ქცევაში გადადის, რის არაერთი მაგალითის მომსწრენი ჩვენი თანამოქალაქეები არიან. არადა, საზოგადოებრივი მომსახურების მუშაკები, რომლებსაც ჩვენს უგაჭირვებულეს ყოფაში საკმაოდ მაღალი (800 ლარამდე) ანაზღაურება აქვთ, ტაქტი და ზრდილობა ზედმიწევნით მოეთხოვებათ. თანაც, მათი ხელმძღვანელობის განცხადებით, რომელიც 23 მარტს დილის ტელეთერით თბილისელებმა მოვისმინეთ, კონტროლიორებს სათანადო კომისია საგანგებოდ არჩევს(?!).

იქნებ ცოტა მეტი ყურადღებით აგერჩიათ ეს ხალხი, ბატონებო, და ისე არ აფრთხობდეთ, რომ ჟურნალისტებთან დალაპარაკებისა რ ეშინოდეთ?! ჩვენ ყველანი ხომ თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, თუ თქვენ თქვენი „პეიზაჟები“ გაქვთ?

ოთარ ტურაბელიძე.
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

P. S. ისე, ერთი მაინც უნდა აღინიშნოს, რაც არაერთგზის ითქვა რედაქციაში: ამ ვიდეოკამერების ფული იქნება უფრო საჭირო რამისთვის გამოეყენებინათ, ვიდრე 50-თეთრიანი ბილეთის არშემძენი ჯეელების დანაშაულის დამადასტურებელი საბუთების უტყუარობაა?!.

ო. ტ.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ფოტოფაქტი



ტოკიოში, როდესაც მეცნიერების მუზეუმში იმყოფებოდა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გაეცნო რობოტ-ანდროიდ ასიმოს. ცნობილი მწერალი-ფანტასტის აიზეკ აზიმოვის პატივსაცემად შერქმეული ამ სახელის მფლობელ რობოტს აქვს 130 სანტიმეტრი სიმაღლე და დაახლოებით 50 კილოგრამს იწონის. მას შეუძლია სახეებისა და ხმების ამოცნობა და კიბეებზე სიარული.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ამბობენ, რომ თურმე თქვენს სკოლაში ყველაზე თანამედროვე მოწყობილობებია დამონტაჟებული, ეს მართალია? – კითხულობს რეპორტიორი.

– კი, მართალია, მაგრამ არის ერთი უხერხულობა.

– რომელი?

– ძალიან ჭირს თხევად-კრისტალური მონიტორებიდან ცარცის ჩამოწმენდა...

* * *

– ვის უფრო ძლიერად აქვს განვითარებული ნებისყოფა, მამაკაცს თუ ქალს? – ეკითხებიან ამერიკის რადიოს.

– რა თქმა უნდა, მამაკაცს! განა ქალს შეუძლია, რომ სამი დღის განმავლობაში აუღელვებლად უყუროს გაურეცხავი ჭურჭლით სავსე სამზარეულოს ნიჟარას?

* * *

ყველა დედა ტირის, როდესაც მათი ქალიშვილი თხოვდება, – ეუბნება დაშა თავის დაქალს.

– დედაჩემი კი ამბობდა, დაე მთხოვნელმა იტიროსო.

* * *

პატარა მიხომ საახალწლოდ ინატრა, ჩემი სურვილი არ ახდესო. და ამით სურვილების შესრულების სისტემა დაანგრია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24